პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ГАЗЕТИ ГАМОДИС 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 154 (26495) — ოთხშაბათი, 5 ივნისი, 1989 წელი. — ფასი 3 კაპ.

მ. ს. გორბაჩოვი მოსკოვიდან გაემგზავრა

4 ივნისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე მ. ს. გორბაჩოვი მოსკოვიდან პარიზს გაემგზავრა ოფიციალურ ვიზიტად საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ფ. მიტერანის მიწვევით.

მ. ს. გორბაჩოვთან ერთად გაემგზავრნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ე. ა. შევარდნაძე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ნ. იაკოვლევი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ლ. ა. ვორონინი, რომლებიც მას მოგზაურობაში ახლავან.

აეროდრომზე მ. ს. გორბაჩოვი გაეცალა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებმა ვ. ი. ვოროტნიკოვმა, ლ. ნ. ზასიეკოვმა, ი. კ. ლიგაჩოვმა, ვ. ა. მედვედევმა, ნ. ი. რიჟკოვმა, ნ. ნ. სლიუნკოვმა, ვ. მ. ჩებრიკოვმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატებმა ა. პ. ბირიუკოვამ, ა. ვ. ვლასოვმა, დ. ტ. იაზოვმა, ი. დ. სოლოუხინმა, გ. პ. რაზუმოვსკიმ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ო. დ. ბაკლანოვმა.

გამცილებელთა შორის იყვნენ საფრანგეთის დროებითი საქმეთა მოვალეობის შემასრულებელი სსრ კავშირში ბ. ბოშატო და რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ი. ბუკური.

* * *

იმავე დღეს მ. ს. გორბაჩოვი საფრანგეთში ჩავიდა. პარიზის ორლის აეროპორტში, სადაც აღართული იყო სსრ კავშირისა და საფრანგეთის სახელმწიფო დროშები, თვითმფრინავის კიბესთან საბჭოთა სახელმწიფოს მეთაურს დახვდა საფრანგეთის პრეზიდენტი ფ. მიტერანი. აქვე იმყოფნენ სსრ კავშირის ელჩი საფრანგეთში ი. პ. რიაბოვი და საფრანგეთის ელჩი საბჭოთა კავშირში ჟან-მარი მერიონი.



შეხვედრის დროს მ. ს. გორბაჩოვს უმაღლესი მხედრული პატივი მიაგეს, აეროდრომის მინდორზე ჩაშენებული იყო სამი სახეობის შეიარაღებული ძალების საპატიო ყარაული, რომლებიც უფროსმა პატაკი ჩაუბარა საბჭოთა ხელმძღვანელს. შესრულდა საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის სახელმწიფო ჰიმნები.

საპატიო ყარაულის მწყობრის ჩამოსვლის შემდეგ, მ. ს. გორბაჩოვი და ფრანსუა მიტერანი გაემართნენ საპატიო სტუმართა სალონისაკენ. აქ საბჭოთა სახელმწიფოს მეთაურს წარუდგინეს სახელმწიფო მინისტრი, საგარეო საქმეთა მინისტრი როლან დიუმა, სახელმწიფო მინისტრი, ეკონომიკის, ფინანსთა და ბიუჯეტის მინისტრი პიერ ბერეგოვუა, საფრანგეთის მთავრობის სხვა წევრები. საფრანგეთის პრეზიდენტს წარუდგინეს ვიზიტის მონაწილე საბჭოთა ოფიციალური პირნი.

ფრანსუა მიტერანმა და მ. ს. გორბაჩოვმა მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს.

* * *

ორლის აეროპორტში შეხვედრის საზეიმო ცერემონიის შემდეგ მ. ს. გორბაჩოვი და ფრანსუა მიტერანი ავტომობილით გაუმართნენ პრეზიდენტის რეზიდენციის — ელისეს სასახლის ახლოს მდებარე მარინის სასახლისაკენ.

დედაქალაქში ელისეს სასახლეში მისვლისთანავე გაიმართა მ. ს. გორბაჩოვისა და ფ. მიტერანის პირველი საუბარი. ვიწრო წრეში სახელმწიფოების მეთაურთა ეს დიალოგი, როგორც აქ ფიქრობენ, განსაზღვრავს შემდგომი მოლაპარაკების ტონალობას, რომელიც 5 ივლისს დამთავრდება საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის დოკუმენტების ხელმოწერით. (საკინფორმი).

* * *

სურათზე: აეროდრომზე გაცილებისას.

საკინფორმის ტელეფოტო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომების კიდევ ერთი კვირა გახდა ისტორიის კუთვნილება. ორშაბათს, 3 ივლისს, დილის 10 საათზე დეპუტატები კვლავ შეიკრიბნენ მოსკოვში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში პალატების გაერთიანებულ სხდომაზე.

თავმჯდომარემ **მ. ს. გორბაჩოვმა** სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

ძვირფასო ამხანაგებო, მიმართა მ. ს. გორბაჩოვმა დეპუტატებს, გუშინ გარდაიცვალა ანდრია საქრიას ძე გრომიკო. გთხოვთ ფეხზე ადგომით სცეთ პატივი მის ხსოვნას.

დეპუტატები ფეხზე დგებიან. გადის დუმილის წუთი.

საჭირო არ არის ბევრი ლაპარაკი ანდრია ანდრიას ძეზე, თქვა შემდეგ მ. ს. გორბაჩოვმა. თავის დროზე ყველაფერი ითქმება, თქვენ ყველანი იცნობთ ამ კაცს. მთელი მისი სიცოცხლე დაკავშირებული იყო ისტორიასთან, ჩვენს მიღწევებთან, ჩვენს პრობლემებთან, ყოველივე იმასთან, რაც მოდის ადამიანის წილად, რომელიც მთელი ადწლეულების მანძილზე, მოვლენების შუაგულშია.

შემდეგ თავმჯდომარე გადავიდა ზოგიერთ საპროცედურო საკითხზე. წინა კვირაში, თქვა მან, საბოლოოდ ჩამოვაყალიბეთ კომიტეტები და კომისიები, გადავწყვიტეთ რამდენიმე მიმდინარე საკითხი, დავამტკიცეთ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის 8 მოადგილე, საგარეო საქმეთა მინისტრი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი. ჩვენ კიდევ უნდა განვიხილოთ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის სამი მოადგილის, 34 მინისტრისა და 13 სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის — სულ 50 კაცის კანდიდატურები. შემდეგ განვიხილავთ სახალხო კონტროლის კომიტეტის, უმაღლესი სასამართლოს, პროკურატურის კოლეგიისა და სსრ კავშირის სახარბიტრაჟის შემადგენლობის კანდიდატურებს. ეს კიდევ 150 კაცია.

დავადგინეთ, რომ წინანდელი შემადგენლობის მინისტრთა საბჭო ინარჩუნებს თავის უფლებამოსილებას ახალი მთავრობის დამტკიცებამდე. მაგრამ, რაც უფრო ჭიანურდება მთავრობის შექმნის პროცესი, მით უფრო უარყოფით გავლენას იქონიებს ეს მიმდინარე საქმიანობაზე. ალბათ, ეს გასაგებია და ადამიანურად ასახსნელიც. ასეთსავე მდგომარეობაში არიან სხვა ორგანოებიც, რომელთა შემადგენლობები უნდა დავამტკიცოთ.

ალბათ, უნდა ვიფიქროთ, როგორ მოვიქცეთ შემდგომში. უმაღლესმა საბჭომ ხომ უნდა დაიწყოს მუშაობა კანონშრომატებზე, დაიწყოს საკანონმდებლო საქმიანობა, სხვა მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტა.

მინდა მოგაწოდოთ ინფორმაცია განსახილველად, არის, როგორც მოგეხსენებათ, ასეთი ფორმულა. უფრო საფუძვლიანად უნდა წავიწიოთ წინ მთავრობის ჩამოყალიბების პროცესის დამთავრებისაკენ. მე ასეთი მიდგომის მომხრე ვარ: წინ წავიწიოთ არა განხილვის ხარისხის, მომთხოვნელობის შემცირების ხარჯზე, არამედ ყველაზე მნიშვნელოვან, პრინციპიულ საკითხებზე ყურადღების მიპყრობის ხარჯზე. ამიტომ ერთხელ კიდევ გთხოვთ დაეჯიფოთ საკითხები, გულდასმით შეარჩიოთ ყველაზე მნიშვნელოვანი და წინ წავიწიოთ.

იქნებ, შევთანხმდეთ იმაზე, რომ მთავრობის შედგენა ამ კვირაში მაინც დავაპპროთ.

საქმე, რა თქმა უნდა, იმას არ ეხება, რომ არ განვიხილოთ კანდიდატურები, მაგრამ ეს უნდა განვახორციელოთ საქმიანად, გამოვარკვიოთ კონკრეტული საკითხები, სჯა-ბაასი თითოეულ კანდიდატურაზე ზოგად დისკუსიად არ ვაქციოთ.

შეიძლება შევთანხმდეთ იმაზეც, რომ სახელმწიფო ორგანოების დამტკიცებამდე კომიტეტები და კომისიები, რომელსაც უმაღლესი საბჭოს სასწრაფო დავალებანი არ აქვთ, არ მოაწყობენ სხდომებს. ეს შესაძლებლობას მოგცემს მთლიანად მოვახმაროთ ჩვენი ძალები და მთელი ყურადღება მივაპყროთ პასუხსაგებ პროცესს — მთავრობისა და სხვა ორგანოების შექმნას. მეორე მხრივ, ეს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატებს, რომლებიც უმაღლესი საბჭოს შემადგენლობაში არ შედიან, შესაძლებლობას მისცემს ჩავიდნენ ადგილებზე, შეხვდნენ ამომრჩევლებს.

და კიდევ ერთი რამ.

წინა სხდომაზე პალატების თავმჯდომარეებსა და კანონმდებლობის, კანონიერებისა და მართლწესრიგის საკითხთა კომიტეტს დავავალეთ ეფიქრათ ხმის მიცემის პროცედურისა და უმაღლესი საბჭოს და მისი პალატების სხდომათა უფლებამოსილების პირობების საკითხზე.

სიტყვა ამ საკითხზე ეძლევა კავშირის საბჭოს თავმჯდომარეს **ე. შ. პრიმაკოვს.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო იღებს შესაბამის დადგენილებას.

წინადადებაა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ, სსრ კავშირის სახმომარაგების თავმჯდომარედ დაინიშნოს პ. ი. მოსტოვოი.

უპასუხა რა დეპუტატთა კითხვებზე, **პ. ი. მოსტოვოიმ** ხაზგასმით აღნიშნა, რომ ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღებისათვის, მისი დინამიკურობის, ეფექტიანობის ზრდისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სახალხო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის თვისებრივად ახალ ორგანიზაციაზე, ესე იგი საბითუმო ვაჭრობაზე გადასვლას. 1992 წელს ნავარაუდევია მთლიანად გადავიდეთ ამ გზაზე. საბითუმო ვაჭრობა მომარაგების ბარათების გაუქმება კი არა, მთელი რიგი პრობლემების სისტემაა.

მათი გადაჭრის პირველი ეტაპი — მიმდინარე ხუთწლედის დამლევამდე მოზდება შეწონასწორებულ სახეობათა პროდუქციის ფენტრალიზებული განაწილების შემცირება. მეორე ეტაპია მეცამეტე ხუთწლედი, რომელიც უნდა გახდეს ნამდვილი სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის ჩამოყალიბებისა და წარმოების საშუალებათა ერთიანი საერთო-საკავშირო სოციალისტური ბაზის ფორმირების პერიოდი.

მაგრამ, ხაზგასმით აღნიშნა მთავრობის წევრობის კანდიდატმა, პროდუქციის უმეტესი ნაწილი გაადგება სახმომარაგების სამმართველოს შთამომავალთა მეშვეობით. ეს საშუალებას მოგვცემს ვაჭრობა ვაწარმოოთ კარგ ტექნიკურ საფუძველზე, თავი მოვუყაროთ რესურსებს სახალხო მეურნეობისა და ეკონომიკურად დუღცველ მომხმარებელთა უმნიშვნელოვანეს საჭიროებათა უზრუნველყოფისათვის.

უპასუხა რა დეპუტატთა კითხვებს, მთავრობის წევრობის კანდიდატმა განაცხადა, რომ იქმნება საერთო-სახელმწიფო ავტომატიზებული საინფორმაციო სისტემა კომერციული ინფორმაციის ბაზით. გაგრძელდება სსრ კავშირის სახმომარაგების გარდაქმნის, ეკონომიკურ საფუძველზე მისი გადაყვანის, სახელმწიფო და სამეურნეო მმართველობის ფუნქციათა გამიჯვნის პროცესი, ცენტრალური აპარატის ხარჯზე შეიქმნა 25 სამეურნეოანგარიშიანი სავაჭრო-საშუამავლო გაერთიანება. მათი ურთიერთობა ტერიტორიულ სამმართველოებთან, სამინისტროებთან, უწყებებთან, რესპუბლიკებთან, მხარეებთან და ოლქებთან სახელშეკრულებო იქნება.

პ. ი. მოსტოვოის კანდიდატურის განხილვაში მონაწილეობდნენ დეპუტატები **გ. მ. ერმოლაევი, ვ. პ. ლარიონოვი, ვ. გ. კუჩერენკო, ჯ. ა. სობჩაკი, ა. კ. მილოხერდინი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პ. ი. მოსტოვოის ნიშნავს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ, სსრ კავშირის სახმომარაგების თავმჯდომარედ.

შემოაქვთ წინადადება სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის თანამდებობაზე დაინიშნოს დ. ტ. იაზოვი.

ტრიბუნაზეა **დ. ტ. იაზოვი.** შეიარაღებული ძალების მშენებლობას, საბჭოთა სამხედრო დოქტრინასა და საერთაშორისო ურთიერთობას, აღნიშნა მან, განსაზღვრავს არა სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტრო, არამედ ქვეყნის უმაღლესი პოლიტიკური ხელმძღვანელობა. ჩვენ კი ვამუშავებთ ამ გადაწყვეტილებათა რეალიზაციის ფორმასა და მეთოდებს შეიარაღებული ძალების გამოყენების ოპერატიული, სამობილიზაციო და სხვა გეგმების შემუშავების გზით.

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სარდლობა, ხაზგასმით აღნიშნა კანდიდატმა, იწონებს პარტიის ცურსს საერთაშორისო დაძაბულობის, სამხედრო კონფრონტაციის შენელებისათვის. შეიარაღებული ძალების ახლანდელი შემცირება, რომელიც ახალი ეზროვნების გამოვლინება გახდა, არ შეასუსტებს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეუთმოთ შესამცირებელი სამხედრო კადრების შრომითს მოწყობასა და სოციალური საკითხების გადაჭრას. მაქსიმალურად ეფექტიანად უნდა გამოიყენოთ სახალხო მეურნეობის საჭიროებებისათვის შეიარაღებიდან მოხსნილი საბრძოლო ტექნიკა.

დ. ტ. იაზოვი ეშეეხო საარმიო ცხოვრების ზოგიერთ კონკრეტულ საკითხს, კერძოდ, ილაპარაკა შეიარაღებულ ძალებში დემოკრატიზაციის პროცესების, არასაწესდებო ურთიერთობასთან ბრძოლის შესახებ, მან გააკრიტიკა წინადადებანი, რომ ვაღმდელი სამხედრო სამსახური ჯაბუკებმა გაიარონ გაწვევის ადგილებში, ოგრეთვე გააკრიტიკა დაქირავებული არმიის ფორმირების პრინციპი, ხაზგასმით აღნიშნა, რომ მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი აქტიურად იმუშაოს მეომართა საყოფაცხოვრებო მოწყობის გაუმჯობესებისათვის.

კანდიდატმა უპასუხა დეპუტატთა მრავალ კითხვაზე.

სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს და პირადად დ. ტ. იაზოვის საქმიანობასთან დაკავშირებული შენიშვნებითა და წინადადებებით გამოვიდნენ დეპუტატები **ა. ა. გენჩევი, ვ. ს. პოძირუკი, ე. ა. გიერი, ს. ფ. კალაშნიკოვი, ი. ი. ოლეკახი, ე. ნ. აუელბეკოვი, ნ. დ. ტუტოვი, ი. ა. ეფიკაევი, ს. თ. ახრომეევი, ნ. ნ. მედვედევი, ვ. ა. კისელიოვი, ვ. ლ. ლაპიგინი** და სხვები. ბევრმა ორატორმა კრიტიკულად შეაფასა შეიარაღებული ძალების მდგომარეობა, აღნიშნა, რომ არ არის შემუშავებული ჯარის გარდაქმნის მოფიქრებული კონცეფცია.

ხანგრძლივი კამათის შემდეგ სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ ხმის უმრავლესობით დანიშნა დ. ტ. იაზოვი თავდაცვის მინისტრად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომების კიდევ ერთი კვირა გახდა ისტორიის კუთვნილება. ორშაბათს, 3 ივლისს, დილის 10 საათზე დეპუტატები კვლავ შეიკრიბნენ მოსკოვში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში პალატების გაერთიანებულ სხდომაზე.

თავმჯდომარემ **მ. ს. გორბაჩოვმა** სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

ძვირფასო ამხანაგებო, მიმართა მ. ს. გორბაჩოვმა დეპუტატებს, გუშინ გარდაიცვალა ანდრია ანდრიას ძე გრომიკო. გთხოვთ ფეხზე ადგომით სცეთ პატივი მის ხსოვნას.

დეპუტატები ფეხზე დგებიან. გადის დუმილის წუთი.

საჭირო არ არის ბევრი ლაპარაკი ანდრია ანდრიას ძეზე, თქვა შემდეგ მ. ს. გორბაჩოვმა. თავის დროზე ყველაფერი ითქმება, თქვენ ყველანი იცნობთ ამ კაცს. მთელი მისი სიცოცხლე დაკავშირებული იყო ისტორიასთან, ჩვენს მიღწევებთან, ჩვენს პრობლემებთან, ყოველივე იმასთან, რაც მოდის ადამიანის წილად, რომელიც მთელი ადწლეულების მანძილზე, მოვლენების შუაგულშია.

შემდეგ თავმჯდომარე გადავიდა ზოგიერთ საპროცედურო საკითხზე. წინა კვირაში, თქვა მან, საბოლოოდ ჩამოვაყალიბეთ კომიტეტები და კომისიები, გადავწყვიტეთ რამდენიმე მიმდინარე საკითხი, დავამტკიცეთ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის 8 მოადგილე, საგარეო საქმეთა მინისტრი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი. ჩვენ კიდევ უნდა განვიხილოთ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის სამი მოადგილის, 34 მინისტრისა და 13 სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის — სულ 50 კაცის კანდიდატურები. შემდეგ განვიხილავთ სახალხო კონტროლის კომიტეტის, უმაღლესი სასამართლოს, პროკურატურის კოლეგიისა და სსრ კავშირის სახარბიტრაჟის შემადგენლობის კანდიდატურებს. ეს კიდევ 150 კაცია.

დავადგინეთ, რომ წინანდელი შემადგენლობის მინისტრთა საბჭო ინარჩუნებს თავის უფლებამოსილებას ახალი მთავრობის დამტკიცებამდე. მაგრამ, რაც უფრო ჭიანურდება მთავრობის შექმნის პროცესი, მით უფრო უარყოფით გავლენას იქონიებს ეს მიმდინარე საქმიანობაზე. ალბათ, ეს გასაგებია და ადამიანურად ასახსნელიც. ასეთსავე მდგომარეობაში არიან სხვა ორგანოებიც, რომელთა შემადგენლობები უნდა დავამტკიცოთ.

ალბათ, უნდა ვიფიქროთ, როგორ მოვიქცეთ შემდგომში. უმაღლესმა საბჭომ ხომ უნდა დაიწყოს მუშაობა კანონშრომატებზე, დაიწყოს საკანონმდებლო საქმიანობა, სხვა მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტა.

მინდა მოგაწოდოთ ინფორმაცია განსახილველად, არის, როგორც მოგეხსენებათ, ასეთი ფორმულა. უფრო საფუძვლიანად უნდა წავიწიოთ წინ მთავრობის ჩამოყალიბების პროცესის დამთავრებისაკენ. მე ასეთი მიდგომის მომხრე ვარ: წინ წავიწიოთ არა განხილვის ხარისხის, მომთხოვნელობის შემცირების ხარჯზე, არამედ ყველაზე მნიშვნელოვან, პრინციპიულ საკითხებზე ყურადღების მიპყრობის ხარჯზე. ამიტომ ერთხელ კიდევ გთხოვთ დაეჯიფოთ საკითხები, გულდასმით შეარჩიოთ ყველაზე მნიშვნელოვანი და წინ წავიწიოთ.

იქნებ, შევთანხმდეთ იმაზე, რომ მთავრობის შედგენა ამ კვირაში მაინც დავამთავროთ.

საქმე, რა თქმა უნდა, იმას არ ეხება, რომ არ განვიხილოთ კანდიდატურები, მაგრამ ეს უნდა განვახორციელოთ საქმიანად, გამოვარკვიოთ კონკრეტული საკითხები, სჯა-ბაასი თითოეულ კანდიდატურაზე ზოგად დისკუსიად არ ვაქციოთ.

შეიძლება შევთანხმდეთ იმაზეც, რომ სახელმწიფო ორგანოების დამტკიცებამდე კომიტეტები და კომისიები, რომელსაც უმაღლესი საბჭოს სასწრაფო დავალებანი არ აქვთ, არ მოაწყობენ სხდომებს. ეს შესაძლებლობას მოგცემს მთლიანად მოვახმაროთ ჩვენი ძალები და მთელი ყურადღება მივაპყროთ პასუხსაგებ პროცესს — მთავრობისა და სხვა ორგანოების შექმნას. მეორე მხრივ, ეს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატებს, რომლებიც უმაღლესი საბჭოს შემადგენლობაში არ შედიან, შესაძლებლობას მისცემს ჩავიდნენ ადგილებზე, შეხვდნენ ამომრჩევლებს.

და კიდევ ერთი რამ.

წინა სხდომაზე პალატების თავმჯდომარეებსა და კანონმდებლობის, კანონიერებისა და მართლწესრიგის საკითხთა კომიტეტს დავავალეთ ეფიქრათ ხმის მიცემის პროცედურისა და უმაღლესი საბჭოს და მისი პალატების სხდომათა უფლებამოსილების პირობების საკითხზე.

სიტყვა ამ საკითხზე ეძლევა კავშირის საბჭოს თავმჯდომარეს **ე. შ. პრიმაკოვს.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო იღებს შესაბამის დადგენილებას.

წინადადებაა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ, სსრ კავშირის სახმომარაგების თავმჯდომარედ დაინიშნოს პ. ი. მოსტოვოი.

უპასუხა რა დეპუტატთა კითხვებზე, **პ. ი. მოსტოვოიმ** ხაზგასმით აღნიშნა, რომ ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღებისათვის, მისი დინამიკურობის, ეფექტიანობის ზრდისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სახალხო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის თვისებრივად ახალ ორგანიზაციაზე, ესე იგი საბითუმო ვაჭრობაზე გადასვლას. 1992 წელს ნავარაუდევია მთლიანად გადავიდეთ ამ გზაზე. საბითუმო ვაჭრობა მომარაგების ბარათების გაუქმება კი არა, მთელი რიგი პრობლემების სისტემაა.

მათი გადაჭრის პირველი ეტაპი — მიმდინარე ხუთწლედის დამლევამდე მოზდება შეწონასწორებულ სახეობათა პროდუქციის ფენტრალიზებული განაწილების შემცირება. მეორე ეტაპია მეცამეტე ხუთწლედი, რომელიც უნდა გახდეს ნამდვილი სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის ჩამოყალიბებისა და წარმოების საშუალებათა ერთიანი საერთო-საკავშირო სოციალისტური ბაზის ფორმირების პერიოდი.

მაგრამ, ხაზგასმით აღნიშნა მთავრობის წევრობის კანდიდატმა, პროდუქციის უმეტესი ნაწილი გაადგება სახმომარაგების სამმართველოს შთამომავალთა მეშვეობით. ეს საშუალებას მოგვცემს ვაჭრობა ვაწარმოოთ კარგ ტექნიკურ საფუძველზე, თავი მოვუყაროთ რესურსებს სახალხო მეურნეობისა და ეკონომიკურად დუღცველ მომხმარებელთა უმნიშვნელოვანეს საჭიროებათა უზრუნველყოფისათვის.

უპასუხა რა დეპუტატთა კითხვებს, მთავრობის წევრობის კანდიდატმა განაცხადა, რომ იქმნება საერთო-სახელმწიფო ავტომატიზებული საინფორმაციო სისტემა კომერციული ინფორმაციის ბაზით. გაგრძელდება სსრ კავშირის სახმომარაგების გარდაქმნის, ეკონომიკურ საფუძველზე მისი გადაყვანის, სახელმწიფო და სამეურნეო მმართველობის ფუნქციათა გამიჯვნის პროცესი, ცენტრალური აპარატის ხარჯზე შეიქმნა 25 სამეურნეოანგარიშიანი სავაჭრო-საშუამავლო გაერთიანება. მათი ურთიერთობა ტერიტორიულ სამმართველოებთან, სამინისტროებთან, უწყებებთან, რესპუბლიკებთან, მხარეებთან და ოლქებთან სახელშეკრულებო იქნება.

პ. ი. მოსტოვოის კანდიდატურის განხილვაში მონაწილეობდნენ დეპუტატები **გ. მ. ერმოლაევი, ვ. პ. ლარიონოვი, ვ. გ. კუჩერენკო, ჯ. ა. სობჩაკი, ა. კ. მილოხერდინი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პ. ი. მოსტოვოის ნიშნავს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ, სსრ კავშირის სახმომარაგების თავმჯდომარედ.

შემოაქვთ წინადადება სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის თანამდებობაზე დაინიშნოს დ. ტ. იაზოვი.

ტრიბუნაზეა **დ. ტ. იაზოვი.** შეიარაღებული ძალების მშენებლობას, საბჭოთა სამხედრო დოქტრინასა და საერთაშორისო ურთიერთობას, აღნიშნა მან, განსაზღვრავს არა სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტრო, არამედ ქვეყნის უმაღლესი პოლიტიკური ხელმძღვანელობა. ჩვენ კი ვამუშავებთ ამ გადაწყვეტილებათა რეალიზაციის ფორმასა და მეთოდებს შეიარაღებული ძალების გამოყენების ოპერატიული, სამობილიზაციო და სხვა გეგმების შემუშავების გზით.

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სარდლობა, ხაზგასმით აღნიშნა კანდიდატმა, იწონებს პარტიის ცურსს საერთაშორისო დაძაბულობის, სამხედრო კონფრონტაციის შენელებისათვის. შეიარაღებული ძალების ახლანდელი შემცირება, რომელიც ახალი ეზროვნების გამოვლინება გახდა, არ შეასუსტებს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება უნდა დეუთმოთ შესამცირებელი სამხედრო კადრების შრომითს მოწყობასა და სოციალური საკითხების გადაჭრას. მაქსიმალურად ეფექტიანად უნდა გამოიყენოთ სახალხო მეურნეობის საჭიროებებისათვის შეიარაღებიდან მოხსნილი საბრძოლო ტექნიკა.

დ. ტ. იაზოვი ეშეეხო საარმიო ცხოვრების ზოგიერთ კონკრეტულ საკითხს, კერძოდ, ილაპარაკა შეიარაღებულ ძალებში დემოკრატიზაციის პროცესების, არასაწესდებო ურთიერთობასთან ბრძოლის შესახებ, მან გააკრიტიკა წინადადებანი, რომ ვაღმდელი სამხედრო სამსახური ჯაბუკებმა გაიარონ გაწვევის ადგილებში, ოგრეთვე გააკრიტიკა დაქირავებული არმიის ფორმირების პრინციპი, ხაზგასმით აღნიშნა, რომ მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი აქტიურად იმუშაოს მეომართა საყოფაცხოვრებო მოწყობის გაუმჯობესებისათვის.

კანდიდატმა უპასუხა დეპუტატთა მრავალ კითხვაზე.

სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს და პირადად დ. ტ. იაზოვის საქმიანობასთან დაკავშირებული შენიშვნებითა და წინადადებებით გამოვიდნენ დეპუტატები **ა. ა. გენჩევი, ვ. ს. პოძირუკი, ე. ა. გიერი, ს. ფ. კალაშნიკოვი, ი. ი. ოლეკახი, ე. ნ. აუელბეკოვი, ნ. დ. ტუტოვი, ი. ა. ეფიკაევი, ს. თ. ახრომეევი, ნ. ნ. მედვედევი, ვ. ა. კისელიოვი, ვ. ლ. ლაპიგინი** და სხვები. ბევრმა ორატორმა კრიტიკულად შეაფასა შეიარაღებული ძალების მდგომარეობა, აღნიშნა, რომ არ არის შემუშავებული ჯარის გარდაქმნის მოფიქრებული კონცეფცია.

ხანგრძლივი კამათის შემდეგ სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ ხმის უმრავლესობით დანიშნა დ. ტ. იაზოვი თავდაცვის მინისტრად.

ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომების კიდევ ერთი კვირა გახდა ისტორიის კუთვნილება. ორშაბათს, 3 ივლისს, დილის 10 საათზე დეპუტატები კვლავ შეიკრიბნენ მოსკოვში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში პალატების გაერთიანებულ სხდომაზე.

თავმჯდომარემ **მ. ს. გორბაჩოვმა** სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

ძვირფასო ამხანაგებო, მიმართა მ. ს. გორბაჩოვმა დეპუტატებს, გუშინ გარდაიცვალა ანდრია ანდრიას ძე გრომიკო. გთხოვთ ფეხზე ადგომით სცეთ პატივი მის ხსოვნას.

დეპუტატები ფეხზე დგებიან. გადის დუმილის წუთი.

საჭირო არ არის ბევრი ლაპარაკი ანდრია ანდრიას ძეზე, თქვა შემდეგ მ. ს. გორბაჩოვმა. თავის დროზე ყველაფერი ითქმება, თქვენ ყველანი იცნობთ ამ კაცს. მთელი მისი სიცოცხლე დაკავშირებული იყო ისტორიასთან, ჩვენს მიღწევებთან, ჩვენს პრობლემებთან, ყოველივე იმასთან, რაც მოდის ადამიანის წილად, რომელიც მთელი ადწლეულების მანძილზე, მოვლენების შუაგულშია.

შემდეგ თავმჯდომარე გადავიდა ზოგიერთ საპროცედურო საკითხზე. წინა კვირაში, თქვა მან, საბოლოოდ ჩამოვაყალიბეთ კომიტეტები და კომისიები, გადავწყვიტეთ რამდენიმე მიმდინარე საკითხი, დავამტკიცეთ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის 8 მოადგილე, საგარეო საქმეთა მინისტრი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი. ჩვენ კიდევ უნდა განვიხილოთ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის სამი მოადგილის, 34 მინისტრისა და 13 სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის — სულ 50 კაცის კანდიდატურები. შემდეგ განვიხილავთ სახალხო კონტროლის კომიტეტის, უმაღლესი სასამართლოს, პროკურატურის კოლეგიისა და სსრ კავშირის სახარბიტრაჟის შემადგენლობის კანდიდატურებს. ეს კიდევ 150 კაცია.

დავადგინეთ, რომ წინანდელი შემადგენლობის მინისტრთა საბჭო ინარჩუნებს თავის უფლებამოსილებას ახალი მთავრობის დამტკიცებამდე. მაგრამ, რაც უფრო ჭიანურდება მთავრობის შექმნის პროცესი, მით უფრო უარყოფით გავლენას იქონიებს ეს მიმდინარე საქმიანობაზე. ალბათ, ეს გასაგებია და ადამიანურად ასახსნელიც. ასეთსავე მდგომარეობაში არიან სხვა ორგანოებიც, რომელთა შემადგენლობები უნდა დავამტკიცოთ.

ალბათ, უნდა ვიფიქროთ, როგორ მოვიქცეთ შემდგომში. უმაღლესმა საბჭომ ხომ უნდა დაიწყოს მუშაობა კანონშრომატებზე, დაიწყოს საკანონმდებლო საქმიანობა, სხვა მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტა.

მინდა მოგაწოდოთ ინფორმაცია განსახილველად, არის, როგორც მოგეხსენებათ, ასეთი ფორმულა. უფრო საფუძვლიანად უნდა წავიწიოთ წინ მთავრობის ჩამოყალიბების პროცესის დამთავრებისაკენ. მე ასეთი მიდგომის მომხრე ვარ: წინ წავიწიოთ არა განხილვის ხარისხის, მომთხოვნელობის შემცირების ხარჯზე, არამედ ყველაზე მნიშვნელოვან, პრინციპიულ საკითხებზე ყურადღების მიპყრობის ხარჯზე. ამიტომ ერთხელ კიდევ გთხოვთ დაეჯიფოთ საკითხები, გულდასმით შეარჩიოთ ყველაზე მნიშვნელოვანი და წინ წავიწიოთ.

იქნებ, შევთანხმდეთ იმაზე, რომ მთავრობის შედგენა ამ კვირაში მაინც დავამთავროთ.

საქმე, რა თქმა უნდა, იმას არ ეხება, რომ არ განვიხილოთ კანდიდატურები, მაგრამ ეს უნდა განვახორციელოთ საქმიანად, გამოვარკვიოთ კონკრეტული საკითხები, სჯა-ბაასი თითოეულ კანდიდატურაზე ზოგად დისკუსიად არ ვაქციოთ.

შეიძლება შევთანხმდეთ იმაზეც, რომ სახელმწიფ

განვახორციელოთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XV პლენუმის გადაწყვეტილებები!

ფაბრიკა შველას ითხოვს

გამკითხავი კი არავინ ჩანს

ტყიბულში შარშან, დეკემბრის ბოლო რიცხვებში, სამ მეტრზე მეტი სიმაღლის თოვლი მოვიდა. ამას წვიმები მოჰყვა. ბევრი შენობა-ნაგებობა დაინგრა, დაიგლიჯა ელექტრო და სატელეფონო ხაზები, დაზიანდა ჩაის პლანტაციები და ხილის ბაღები, გზები ჩაიკეტა და მიმოსვლა დროებით შეფერხდა. სტიქიით მიყენებულმა ზარალმა მილიონობით მანეთი შეადგინა. შექმნილმა მძიმე სიტუაციამ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების, მათ შორის თოვლის საფარქვეშ დაახლოებით სამ თვეს მოქცეული ჩაის პლანტაციების მოვლა-დამუშავების სამუშაოების ჩატარებაც დააგვიანა.

ასეთი ცუდი პირობების მიუხედავად ტყიბულელმა მეჩაიეებმა ყოველი ღონე იხმარეს წლის უხვი მოსავლის მისაღებად. გარჯაც დაუფასებთ. დაზიანებული პლანტაციები წელში გაიმართა და პირველი კვებეტაციის ჩაის ფოთოლიც, თუმცა 15 დღის დაგვიანებით, მაგრამ მაინც უხვად შემოვიდა. ამის დამადასტურებელია თუნდაც ისიც, რომ მათ წლევანდელი საგეგმო 9860 ტონიდან 4 იანვისისათვის მოკრეფილი ჰქონდა 4.366, ანუ შარშანდელ შესაბამის პეროდთან შედარებით 1084 ტონით მეტი ჩაის ფოთოლი. შარშანდელზე უკეთესია ნედლეულის ხარისხიც. სულ დამზადებულ მასაში პირველი ხარისხისაა 57,3 პროცენტი.

მაგრამ შედეგები მაინც ბევრად უკეთესი იქნებოდა, ყველა კოლმეურნეობაში ერთნაირი მონდომებით რომ შრომობდნენ. შემოწმების დღეს კისორეთის კოლმეურნეობაში ვნახეთ პირველი მეორე და მესამე ბრიგადების მეჩაიეთა მიერ მოკრეფილი 1803 კილოგრამი ნედლეული, რომელიც ბაუხეშებული და ახალი ტექნიკური წესების დარღვევით იყო დამზადებული. არადა, ზონაში ამ კოლმეურნეობას აქვებენ, ძალიან მეჩაიეებზე და, საერთოდ, სოფლის მშრომელებზე აუგს ვერ გაიგებთ. ეს ფაქტი გამონაკლისიაო. გვითხრეს. მაგრამ ასეთ „შემთხვევითობას“ ადგილი არ უნდა ჰქონდეს. ანალოგიური მდგომარეობაა ორპირის, ციხისის, ჯვარისის, ძიროვნის, სოჩხეთის კოლმეურნეობების ზოგიერთ ბრიგადაში, რომელთა ნაკრეფი ჩაის ფოთოლი გადასარჩევად და დასახარისხებლად ბრიგადებს უკანვე უბრუნდებათ.

კრეფის წესების დარღვევასთან ერთად ზოგან მისი ტემპიც ეთი პირობების შექმნა, რომ დაცარიელებულ სოფლებს მისი ნამდვილი ბატონ-პატრონი დაუბრუნდეს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დიდთოვლობამ ბევრი შენობა-ნაგებობა დაანგრია. მათ შორის დიდი ზარალი ნახა ორპირისა და ტყიბულის ჩაის ფაბრიკებმა, რომელთა სახურავები, ჭერი და ზოგან კედლები ჩამონგრა, დაზიანდა ცუცხვათის ჩაის მიკროფაბრიკაც. ამიტომაც ნამდვილად თავდადებული შრომა დასჭირდათ იმისათვის, რათა ჩაის ნედლეულის გადამუშავებელი ფაბრიკები სეზონს გამართულად შეხვედროდნენ. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ტყიბულის ჩაის ფაბრიკის დირექტორის გურამ რუხაიას დიდი მონდომება და პირადი ინიციატივა. აქ თითქმის დღედაღამ მუშაობდნენ და ყველაფერიც გააკეთეს მდგომარეობის გამოსწორებისათვის. ამის შედეგია, რომ ფაბრიკა სეზონის დაწყებიდან შეუფერხებლად მუშაობს, დაგეგმილზე მეტი ნედლეული მიიღო და გადაამუშავა. მოსკოვისა და თბილისის ჩაის გადამწონ ფაბრიკებს 45 ტონაზე მეტი ზეგეგმითი პროდუქცია გაეგზავნა, ხოლო სერპუხოვის ჩაის კონცენტრატების კომბინატს — გეგმით გათვალისწინებული 102,8 ტონა.

ცუცხვათის კოლმეურნეობის ჩაის მიკროფაბრიკაც აღადგინეს და ნორმალურად მუშაობს, მაგრამ ზოგიერთი აქაური ბრიგადა მას უკონდიციო ნედლეულს აწვდის, რაც ფაბრიკამ არ უნდა მიიღოს და არც გადაამუშაოს. ფაბრიკის ეზო ჯართითაა სავსე, ზოგან სიბინძურეა. ამას აუცილებლად უნდა მიაქციონ.

სოჩხათის კოლმეურნეობის ჩაის მიკროფაბრიკა წლეულს ამოქმედდა, მაგრამ მას გაუჭირდა სრული დატვირთვით და გამართულად მუშაობა, რადგან დანადგარ-მოწყობილობები ხშირად ფუჭდებოდა. მათი ნაწილების შოვნასა და შეკეთებაში საკმაო დრო გავიდა. ჩაის ფოთოლი კი დაყოვნებას ვერ ითმენს, ამინდის ხშირი ცვალებადობა მასს ცუდად მოქმედებს და „უხეშდება. სულ სხვა მდგომარეობაა ორპირის ჩაის ფაბრიკაში. იგი ჯერ კიდევ 1939 წელს რიყის ქვითა ნაგებ, ფანჯრები კი გამოსაცვლელი, ხოლო 750 კვადრატული მეტრის ჩამონგრეული ჭერი აღსადგენია. განა შეიძლება ახალი პროდუქციის ასეთ ადგილზე შენახვა? ამგვარ მძიმე მდგომარეობაში უხდებათ ნედლეულის ბიდები-გადამუშავება ჩაის ფაბრიკის „ეუშ-მოსამსახურეებს, გამკითხავი კი დღემდე არავინ არის.

სად არიან რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომიტეტის სათანადო სამსახურის ხელმძღვანელები? ნუთუ მათ არ აინტერესებთ ფაბრიკის ბედი? საჭიროა, ისინი აწი მაინც დაინტერესდნენ ფაბრიკაში შექმნილი ვითარებით და სასწრაფო ღონისძიებებიც განახორციელონ მდგომარეობის გამოსწორებისათვის.

აღსანიშნავია ერთი საკითხიც: ტყიბულელ მეჩაიეებს 1975 წლიდან პირდებიან ახალი ჩაის ფაბრიკის მშენებლობას. ბევრი მიმოწერისა და მბილა-მოსვლის შემდეგ, როგორც იყო, თითქოს გადაწყდა ქალაქის № 2 ფაბრიკის მშენებლობა. იგი დაკონკრეტდა პროექტის შედეგნით, ადგილის გამოყოფით, გეოდეზიური გაანგარიშებით. მშენებლობა 1982-1983 წლებში უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ... შემდეგ მშენებლობის დაწყება 1985 წლისათვის დაიგეგმა. მერე ითქვა, რომ 1987 წელს აუცილებლად დაიწყებდნენ და მომდევნო წელს დაამთავრებდნენ ნანატრ მშენებლობას, მაგრამ ისევ ამაოდ.

არადა, ზონაში არის მეტი და ხარისხოვანი ნედლეულის წარმოების საშუალება. მით უფრო, რომ იქ ახალ პლანტაციებს აშენებენ. გადამუშავებელი სიმძლავრეები კი არ ყოფნით. ხოლო როცა მეჩაიე ხედავს, რომ მოკრეფილი ფოთოლი ფაბრიკაში მიტანილი არ არის და ფუჭდება, ისეთი ენერგიითა და მონდომებით ვერ შრომობს, როგორც საჭიროა. ნუ გავუტეხავთ მათ გულს და ნუ დავუკარგავთ განწყობას, შევასრულოთ დანაპირები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XV პლენუმზე ითქვა: „...აუცილებელია ყოველი ღონისძიებით გაჯეროდეთ ადგილებზე პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ ჩვენი ხალხის ინიციატივა მოვახმაროთ კვების პროდუქტებით მოსახლეობის მომარაგების არსებით გაუმჯობესებას. ყოველნაირად უნდა წავახალისოთ ადამიანები, გავაძლიერთ კონტროლი და დაინტერესება“. შევძლებთ კი ამ მოთხოვნის განხორციელებას საქმისადმი ზემოაღნიშნული მიდგომათ?

გიორგი ნოდია,
ჯემალ ქურხული,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტები.

ბარდბანის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობა ქვეყნის ერთ-ერთი მოწინავე სასოფლო-სამეურნეო საწარმოა. საკავშირო და რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში მრავალჯერ გამარჯვებული, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის თითქმის უცვლელი მონაწილეა. ჩვენი გაზეთის ფურცლებზე არაერთხელ აგვიხსნავს ამ მეურნეობის მშრომელთა სახახელო საქმიანობა.

მეურნეობის წინსვლა და აღმავლობა დაკავშირებულია მისი დირექტორის მაგარამ გასანოვის სახელთან. სამ ათეულ წელზე მეტია იგი შრომითი კოლექტივის სათავეშია და დიდ ძალისხმევას ახმარს მეურნეობის ორგანიზაციულად, ეკონომიკურად, ფინანსურად განმტკიცებას, დიამკვიდრა გერგილიანი ორგანიზატორის სახელი და ღირსება, დაჯილდოებულია ორდენებით და მედლებით.

როგორ, რა გზით აღწევენ გარდაბნელები თვალსაჩინო წარმატებებს? უმჯობესია აღნიშნულის შესახებ თვით მ. გასანოვს მოვუსმინოთ:

— **პარტიამ**, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების პროგრამა დაგვისახა, — თქვა მან, — უახლოეს წლებში დავაღწიოთ თავი კრიტიკულ სიტუაციას, მკვეთრად გავზარდოთ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება, რათა დავაკმაყოფილოთ მოსახლეობის მოთხოვნილება და მრეწველობასაც არ მოვაკლოთ ნედლეული. საამისოდ მოქმედებაში მოვიყვანეთ ინტენსიფიკაციის ძირითადი ბერკეტები: რაციონალურად ვიყენებთ მიწას, ტექნიკას, სარწყავ წყალს. შრომის ორგანიზაციის განმტკიცების შედეგად ყველა სამუშაო სრულდება საუკეთესო აგროვადებში და ხარისხიანად. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ბოსტნეული მოგვყავს სწორედ ორგანული სასუქებით, ჩვენ უარი ვთქვით ნიტრატების გამოყენებაზე, რომელიც უარყოფითად მოქმედებს ადამიანთა ჯანმრთელობაზე, ამინძურებს ბუნებას. ჩვენს მიერ მოწეული ხილი ხარისხიანია.

ჩვენი მოღვაწეობა უფრო მიზანშეწონილი გახდა თანამედროვე პირობებში. ახლა ჩვენგან მხურვალე ტაშსა და ყალბ სტყვებს, როდი ელიან გარდაქმნათა შესახებ, არამედ საქმეს, მოქმედებას, როგორც რიგითი მუშაკის, ისე ყოველი რანგის ხელმძღვანელის აქტიურ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. სამწუხაროდ, ჩვენში ძალაც არიან ქველებური აზროვნების ადამიანები, სიტყვით აღიარებენ გარდაქმნას, ფაქტიურად ცდილობენ ხვრელში ჩაძვრნენ, რათა შემთხვევით არ გაჰკრას გამჭოლმა ქარმა, ჩვენო, — ამბობენ ისინი, — შემსრულებლები ვართ და სხვა არაფერი მოგვეთხოვებაო.

არ კმარა მარტო პატიოსანი შემსრულებლობა. ახლა სხვა დროა, ინიციატივების, შემოქმედების დროა, სხვაგვარად ვერ მივაღწევთ ეკონომიკის მკვეთრ აღმავლობას. ამ თვისებათა გამოსაკლინებლად აუცილებელია სამეურნეო დამოუკიდებლობაც, რომელსაც ვესწრაფვით. ვინ იცის, რამდენი ზედმეტი მეურვეობა გადავიტანეთ უძრაობის წლებში სოფლის მეურნეობის მუშაკებმა, მრავალგვარი უთავბოლობისაგან პირდაპირ ხელფეხი გვქონდა შეკრული. მცირე, რაღაც და, ზევიდან ბრძანება: — გააკეთე ისე, როგორც გეუბნებიო!

ახლა ვეღარ დავიჩივლებთ დამოუკიდებლობაზე. მეურნეობებს მეტი უფლებები მიენჭათ. მათ რეალური პირობები გააჩნიათ, რათა ბაზრებში და კოოპერატიული ქსელის მეშვეობით გაყიდონ წარმოებული პროდუქციის საგეგმო შესყიდვის ოცდაათი პროცენტი და მთელი ზეგეგმითი პროდუქცია. ამ პირობებს ვიყენებთ და დამატებით ვიღებთ ასეულ ათასობით მანეთს. წარმოებული ბალი, ეკონომიკის განმტკიცებისათვის კარგ შესაძლებლობებს გვიქმნის აგრეთვე დაგეგმვის, თვითდაფინანსებისა და თვითანაზღაურების ახალი სისტემა, სრული სამეურნეო ანგარიში, ყოველწლიურად ხახვის, ნივრის, კომბოსტოს, სუფრის ჭარხლის, პამიდვრის, ბადრიჯნის, წიწაკისა და სხვა შრომატევადი კულტურების უხვი მოსავალი, რომელსაც საკმაოდ ვაწვდით თბილისისა და რუსთავის მშრომელებს. ყოველ ას ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე ვაწარმოებთ 150 ათასამდე მანეთის ბოსტნეულ კულტურებს. ას ჰექტარ სახნავზე გადაყვანით ეს სამასი ათასამდე მანეთია. ეს მაჩვენებელი ერთ-ერთი საუკეთესოა ქვეყნის მასშტაბით. მეურნეობის თითოეული მუშის საშუალო გამომუშავება 300 მანეთამდეა. ეკონომიკური რეფორმის პირობებში ფირთოდ ვნერგავთ წარმოებაში აგრეთვე ინტენსიურ ტექნოლოგიებს. ყოველივე აღნიშნულის შედეგია, რომ მეურნეობის ყოველწლიური მოგება ახლა საშუალოდ 1.300 ათას მანეთს აჭარბებს.

თავდადებული, ალალი შრომით გამომუშავებულ მილიონებთან ერთად, ამბობს გარდაბნელთა თავკაცი, ყველაზე დიდ განცდად ის კეთილმეზობლობა მიგვაჩნია, რომელიც წლობით შრომით კოლექტივში დამკვიდრდა. ძირითადად აქ აზერბაიჯანული ეროვნების მოსახლეობაა. მათ მხარდამხარ იღვწიან ქართველები, რუსები, უკრაინელები, ბერძნები, სომხები... ყველა ისინი შრომითი კოლექტივის სრულფასოვანი წევრები არიან და ერთნაირი უფლებით სარგებლობენ. ჩვენ შევხვდით და მოვუსმინეთ ზოგიერთ მათგანს. მეურნეობის მთავარი ბუღალტერი რუსი მაია ფედოროვა ამბობს: გზად მომავალს უცებ ღონე. წამერთო და გონი დაკარგე, როცა გამოვფიზხლდი საავადმყოფოში აღმოვჩნდი. სასთუმალთან იჯდა სამი უცნობი ადამიანი, სამი სხვადასხვა ეროვნებისა: ქართველი, სომეხი, აზერბაიჯანელი. მათ სიცოცხლე მაჩუქეს, მათ რომ არა, შეიძლებოდა გზაში ამომხდომოდა სული. ამავე მეურნეობის მოწინავე მუშას აბდულ მამედოვს ვერა ონიწჩენკო უკრაინელი. მათ ოჯახში არის სომეხიც. ექვსი ეროვნების ადამიანი შეესისხლხორცებია ერთმანეთს. მეურნეობის ერთ-ერთ მუშაკს ალიკ თათიოსიანს კი დედა აზერბაიჯანელი ჰყავს. ასეთი ოჯახები აქ თითზე ჩამოსათვლელები როდია.

მეურნეობის მიწათმომწყობი ოთარ მიქელაძე გვიამბობს: კარგა ხანს ვიმუშავე მომძე აზერბაიჯანის მთიანი ყარაბაღის სომხებით დასახლებულ რაიონებში, ვიმუშავე აზერბაიჯანელებით დასახლებულ რეგიონებშიც, მშობლიურ ქართულთან ერთად ვლაპარაკობ რუსულად, აზერბაიჯანულად, სომხურად. ცხოვრების გამოცდილებამ დაგვარწმუნა, რომ ჩვენ, სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები, ღვიძლი ძმები ვართ. ჩვენ წინათაც გვაერთიანებდა სხვადასხვა მიზნები, გვქონდა შეცდომებიც. მომავლისაკენ დღესაც ერთიანი მისწრაფება გვიკაფავს გზას და განა შეიძლება ვუღალატოთ საერთო სასიცოცხლო ინტერესებს?

ყველას ნათქვამი მეურნეობის დირექტორმა მაგარამ გასანოვმა შეაჯამა. ჩვენი ხალხები, განსაკუთრებით ქართველები და აზერბაიჯანელები ცხოვრებამ შეგვაკავშირა და უსაზღვროდ გვიყვარდა ერთმანეთი. პატარა ვიყავი და კარგად მახსოვს, მამაჩემის სახლში ქართველი კაცის სტუმრობა ჩვენი უდიდესი ზეიმი იყო, ჩვენც ხშირად წავუყვანიეართ მშობლებს ქართულ „ყონაღებთან“ და საჩუქრებით დატვირთული ვბრუნდებოდით შინ. სარწმუნოებაც არ გვიშლიდა ხელს ერთმანეთის შვილები მოგვეწყინოთ. მეგობრობა წმინდათა წმინდა განძია, მან გარდაბნელებს შეუძლებელი შეგვძლებინა და რაოდენ გულსატკივნია, რომ აღმოჩნდნენ ერთი მუჭა ადამიანები ჩვენს შორის, რომ სურთ შებღალონ ეს მაღალი გრძნობა. ღმერთმა არ ქნას, ისინი ბევრნი იყვნენ, ვინც არიან საკადრის პასუხს მიიღებენ, ჩვენს ძმობას ჩრდილი არასროს მიადგება. რა გონივრულად გვირჩია სმოლენსკის ოლქში მოუხდა საველდებულო სამხედრო სამსახურში ყოფნა. შინ დაბრუნდა მეუღლესთან ერთად. საბჭოთა მეურნეობამ ახალდაქორწინებულს სახლი აუგო და ერთდროული დახმარების სახით 700 მანეთი მისცა. ახლა ამ ინტერნაციონალური ოჯახში სამი ბავშვი იზრდება.

მეგობრობის რამდენი სწორუპოვარი მაგალითის მოტანა შეიძლება ერთი არც თუ ძალიან დიდი კოლექტივის ცხოვრებიდან: ბერძენი აპოლონ ბოდაღოვის ოჯახი ათიოდე წლის წინათ წალკის რაიონიდან ჩამოვიდა. ჩემი მეუღლე, თქვა აპოლონმა, გულის მაწკით დაავადდა და ექიმების რჩევით მაღალმთიანი ზონა დაბლობი ადგილით შეეცვალეთო. აქ გულთბილად მიგვიღეს, სამუშაოც მეგვირჩიეს, კრედიტიც მოგვცეს, მალე სახლიც ავაგეთ და შეძლებულად ვცხოვრობთ. ჩვენი შვილები თავისუფლად ლაპარაკობენ ქართულ, რუსულ, აზერბაიჯანულ ენებზეო. მეურნეობის ბუღალტერი ლიანა ბერმანი მამით გერმანელია, დედა რუსი ჰყავს, ქმარი ქართველი, ძმის ცოლი ოყოველწლიურად ხახვის, ნივრის, კომბოსტოს, სუფრის ჭარხლის, პამიდვრის, ბადრიჯნის, წიწაკისა და სხვა შრომატევადი კულტურების უხვი მოსავალი, რომელსაც საკმაოდ ვაწვდით თბილისისა და რუსთავის მშრომელებს. ყოველ ას ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე ვაწარმოებთ 150 ათასამდე მანეთის ბოსტნეულ კულტურებს. ას ჰექტარ სახნავზე გადაყვანით ეს სამასი ათასამდე მანეთია. ეს მაჩვენებელი ერთ-ერთი საუკეთესოა ქვეყნის მასშტაბით. მეურნეობის თითოეული მუშის საშუალო გამომუშავება 300 მანეთამდეა. ეკონომიკური რეფორმის პირობებში ფირთოდ ვნერგავთ წარმოებაში აგრეთვე ინტენსიურ ტექნოლოგიებს. ყოველივე აღნიშნულის შედეგია, რომ მეურნეობის ყოველწლიური მოგება ახლა საშუალოდ 1.300 ათას მანეთს აჭარბებს.

თავდადებული, ალალი შრომით გამომუშავებულ მილიონებთან ერთად, ამბობს გარდაბნელთა თავკაცი, ყველაზე დიდ განცდად ის კეთილმეზობლობა მიგვაჩნია, რომელიც წლობით შრომით კოლექტივში დამკვიდრდა. ძირითადად აქ აზერბაიჯანული ეროვნების მოსახლეობაა. მათ მხარდამხარ იღვწიან ქართველები, რუსები, უკრაინელები, ბერძნები, სომხები... ყველა ისინი შრომითი კოლექტივის სრულფასოვანი წევრები არიან და ერთნაირი უფლებით სარგებლობენ. ჩვენ შევხვდით და მოვუსმინეთ ზოგიერთ მათგანს. მეურნეობის მთავარი ბუღალტერი რუსი მაია ფედოროვა ამბობს: გზად მომავალს უცებ ღონე. წამერთო და გონი დაკარგე, როცა გამოვფიზხლდი საავადმყოფოში აღმოვჩნდი. სასთუმალთან იჯდა სამი უცნობი ადამიანი, სამი სხვადასხვა ეროვნებისა: ქართველი, სომეხი, აზერბაიჯანელი. მათ სიცოცხლე მაჩუქეს, მათ რომ არა, შეიძლებოდა გზაში ამომხდომოდა სული. ამავე მეურნეობის მოწინავე მუშას აბდულ მამედოვს

სიუხვის ფორმულა

მეციტრუსეთა საზრუნავი

ბალის რაიონის წარჩის მეციტრუსეების საბჭოთა მეურნეობაში ახორციელებენ ნარგავების ინტენსიური გაახალგაზრდავების ღონისძიებებს. მეურნეობის ციტრუსის პლანტაციები 234 ჰექტარზეა გადაშეული და ამ ქედან მხოლოდ 63 ჰექტარია მსხმოიარე.

თანდათანობით იზრდება ციტრუსის ბაღების მოსავლიანობა, ახალი ნაკვეთების მსხმოიარობის დადგომის კვალობაზე, შარშან საბჭოთა მეურნეობის მეციტრუსეებმა გეგმის გადაჭარბებით 300 ტონა ნაყოფი მოკრიფეს. წლევანდელი სეზონი უფრო უხვმოსავლიანი უნდა იყოს.

კარგად არის მოვლილი თამაზ კეზუას ბრიგადის ბაღები, ბრიგადაზე გაპიროვნებული 23 ჰექტარიდან შვიდი უკვე მსხმოიარეა: მეციტრუსეები 105 ტონა ნაყოფის მიღებას ვარაუდობენ.

სურათებზე: ბრიგადის ციტრუსის პლანტაციებში; მეციტრუსეთა ბრიგადის ხელმძღვანელი თამაზ კეზუა და საბჭოთა მეურნეობის უფროსი აგრონომი მიხეილ კაკუბავა.

საქინფორმის ფოტო.

დამხმარე მეურნეობის სიკეთე

ცხინვალის მომინანქრებული სადენების ქარხანაში სათანადო ყურადღება ექცევა დამხმარე მეურნეობას.

240 კვადრატული მეტრი სათავსი დაუთმეს სოკოს მოყვანის ოსტატ მოიჯარეებს. მათ თესლი მოსკოვიდან შემოიტანეს. ქარხნის მუშა-მოსამსახურეებს შეღავათიან ფასებში უკვე მიჰყიდეს 500 კილოგრამი სოკო.

მოიჯარეები ბოსტნეულსაც მოიყვანენ — დათესეს 500 კვადრატული მეტრი განოყიერებული ფართობი. შარშან მუშებს დამხმარე მეურნეობიდან 715 კილოგრამი თაფლი მიჰყიდეს, წლეულს ამ რაოდენობის გაორმაგებას აპირებენ. მეურნეობას უნარიანად ხელმძღვანელობს აგრონომი ენრიკო კვაღინიძე.

დამხმარე მეურნეობა წარმატებით ავსებს დეფიციტს სურსათით მომარაგებაში, ქარხნის ადმინისტრაცია ზრუნავს მისი გაუმჯობესებისათვის. (**„კომუნისტის“ კორ.**)

მეცნიერთა წინადადებით

სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „თავთავის“ თანამშრომლებმა შეიმუშავეს აღმოსავლეთ საქართველოს ნიადაგურ-კლიმატური პირობების შესაბამისი ეგეურის ჯიშის სიმინდის გარანტირებული უხვი მოსავლის მიღების სისტემა. მაგალითად, იმისათვის, რომ ჰექტარზე 100-110 ცენტნერი მოვიწიოთ, ამ ნაკვეთში უნდა განლაგდეს სულ ცოტა 60 ათასი ძირი მცენარე. განსაზღვრულია აგრეთვე რწყვის, მინერალური სასუქის შეტანის ნორმები და ოდენობა.

ამ კულტურის მოვლა-მოყვანის რეკომენდაციები გადაეცათ ქართლის ველის საზოგადოებრივ მეურნეობებს.

(საქინფორმი)

ქმედითობა

„უპასუხისმგებლობა, უცოდინრობა, თუ ორგვარი პირადი?“

„კომუნისტი“, 1989 წლის 7 იანვარი.

„კომუნისტის“ კრიტიკულ გამოსვლას უპასუხებს პარტიის წალკის რაიკომის პირველი მდივანი ფ. ჩიტლოვი:

წერილში მოყვანილი ფაქტები სწორია. მათ თაობაზე საქმიანი მსჯელობა ჰქონდათ ჯერ აგროსამრეწველო გაერთიანების პარტიული კრების, ხოლო შემდეგ — პარტიის რაიკომის ბიუროს სხდომის მონაწილეებს.

ბიუროს სხდომის გადაწყვეტილებით სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების დაბალი მაჩვენებლებისათვის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლული არიან იმერის, გუმბათის, ხაჩკოის, ნარდევნისა და ოზნის საბჭოთა მეურნეობების დირექტორები. მკაცრი ადმინისტრაციული სასჯელი გამოეცხადათ მთავარ დარგობრივ სპეციალისტებს.

მუშაობის ჩაშლის, მემცენარეობის პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის გეგმების შეუსრულებლობისა და სელექციური მუშაობის არადამაკმაყოფილებლად წარმართვისათვის ჯინისის ექსპერიმენტული მეურნეობის დირექტორს კომუნისტ რ. ხრისტიანოვს გამოეცხადა სასტიკი საყვედური საალრიცხვო ბარათში შეტანით.

აგროსამრეწველო კომპლექსის მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებებისათვის რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარეს ფ. ზოსიმოვსა და მის პირველ მოადგილეს. მაგდალიანს გამოეცხადათ საყვედური. სხვა პასუხისმგებელ მუშაკებს მიეთითათ.

დასახულია სასოფლო-სამეურნეო წარმოებისადმი ხელმძღვანელობის გაძლიერების, ეკონომიკის, მეცხოველეობისა და მემცენარეობის პროდუქტების წარმოების დონის ამაღლების კონკრეტული ღონისძიებები.

დანაშაულის კვალდაკვალ

„კომუნისტი“, 1989 წლის 24 მარტი.

„კომუნისტის“ კრიტიკულ გამოსვლას უპასუხებს სამტრედიის რაიონის პროკურორი რ. ფირცხალავა:

დაბეჭდილი კრიტიკული შენიშვნის პასუხად გაცნობებთ, რომ ყალბი დოკუმენტების გაკეთებით სამტრედიის შემნახველი ბანკიდან განსაკუთრებით დიდი ოდენობით სახელმწიფო ქონების გატაცების ფაქტზე 1989 წლის 23 თებერვალს შინაგან საქმეთა სამტრედიის რაიგანყოფილების საგამოძიებო ქვეგანყოფილებაში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, რის საფუძველზეც პასუხისგებაში მიეცემული არიან სამტრედიის რაიონის სოფელ ვაზისუბანში მცხოვრები მურთაზ ლორია და სოფელ ჭაგანში მცხოვრები თეიმურაზ ფოცხვერია. გამოძიება დამთავრდება უახლოეს დროში და საქმე განსახილველად გადაეგზავნება საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს.

ჩამოვაშოროთ ლოთები საჭეს

„კომუნისტი“, 1989 წლის 4 აპრილი.

„კომუნისტის“ კრიტიკულ გამოსვლას უპასუხებენ: ფოთის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ბ. ხომერიანი:

გამოქვეყნებული კრიტიკული წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების ორთვიურის პერიოდში ჩატარებული ერთ-ერთი რეიდის დროს გამოვლენილ იქნენ ფოთელი ნახვამი მძღოლები ბ. ჩიჩუა, ჯ. ლორთქიფანიძე და რ. ბასლანაძე.

საგზაო მოძრაობის დაცვის საქალაქო კომისიამ განიხილა ზემოთ აღნიშნული ფაქტები და საზოგადოებრივი წესრიგის დამცველების მიმართ გაატარა სათანადო ღონისძიებები, კერძოდ, თითოეულ მათგანს სამ-სამი წლით ჩამოერთვა ავტომობილის მართვის უფლება.

კომისიის მიერ მიღებული რეკომენდაციები შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნა შესაბამის სამსახურებს.

ლანჩხუთის „აგრომრეწველრგოს“ დირექტორი კ. ცინცაძე:

წერილში მოყვანილი ფაქტი სინამდვილეს შეეფერება. ლანჩხუთის სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილებით მძღოლ ტ. ზალოსანს სასჯელის ზომად განესაზღვრა ერთი წლის ვადით იძულებითი მუშაობა, ხელფასიდან 30 პროცენტის დაკავებით სახელმწიფოს ბიუჯეტის სასარგებლოდ. ამასთანავე აეკრძალა ავტომობილის მართვის უფლება ოთხი წლის ვადით.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ასევე მკაცრი სასჯელი დაედო დისპეტჩერს და ინჟინერს.

„აგრომრეწველრგოს“ დირექციამ იმსჯელა გაზეთში მოყვანილი ფაქტების შესახებ და დასახა ღონისძიებები მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ზღვისპირეთის გაჭიანურებული მშენებლობები

„კომუნისტი“, 1989 წლის 4 აპრილი.

„კომუნისტის“ კრიტიკულ გამოსვლას უპასუხებს საქართველოს პროფკავშირთა კურორტების მართვის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე ნ. შარაშენიძე:

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით დამტკიცებულია სამინისტროებისა და უწყებების პროფკავშირთა გამაჯანსაღებელი კერების განვითარებაში მონაწილეობის წესები, რომლის თანახმადაც აჭარის მთელ რიგ დასაკავენებელ სახლებსა და სანატორიუმების განვითარებაზე გაფორმებულია ხელშეკრულებები სხვადასხვა ორგანიზაციებთან.

გასული წლის სექტემბერში საქართველოს პროფსაბჭოს ხელმძღვანელობამ ჩატარა სპეციალური თათბირი, რომელზედაც დასახა ორგანიზაციების მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების ღონისძიებები და რეკონსტრუქციის და მშენებლობის პროცესში მყოფი ჯანმრთელობის კერების ექსპლოატაციაში დროულად გადაცემის უზრუნველყოფის საკითხები.

პროფსაბჭოში გათვალისწინებულია ზემოაღნიშნული ღონისძიებების შესრულების მსვლელობის განხილვა და რესპუბლიკაში მოქმედი საწარმოების პროფკავშირთა დასასვენებელი სახლებისა და სანატორიუმების განვითარებაში უფრო აქტიურად ჩაბმის საკითხების გადაწყვეტა.

იმის გამო, რომ გაუქმდა საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის ყოფილ სამინისტროსთან დადებული ხელშეკრულება პანსიონატ „ქარიშხალას“ რეკონსტრუქციის თაობაზე, ამჟამად გაფორმების პროცესშია ამ საქმეებზე ხელშეკრულება „საქნავთობის“ სამმართველოსთან. აღნიშნული სამმართველო პანსიონატ „ქარიშხალაში“ სამუშაოების „ჩატარებას აპირებს საზღვარგარეთის ფირმების ძალებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან შეთანხმებული გეგმის მიხედვით პროფკავშირთა კურორტების მართვის აჭარის საოლქო საბჭოს სისტემის ამორტიზებულ სახლებში მცხოვრებ მუშაკთა კეთილმოწყობილი ბინებით უზრუნველყოფა გათვალისწინებულია მე-13 ხუთწლედში. ყველა ზომა იქნება მიღებული აღნიშნული გეგმის შესასრულებლად და აგრეთვე 2000 წლისათვის ყოველი მუშაკის ბინით უზრუნველსაყოფად.

კურორტული მკურნალობით მოსახლეობის უფრო ფართოდ უზრუნველყოფისა და არსებული საწოლების ფონდის რაციონალური გამოყენების მიზნით მიღებულია გადაწყვეტილება პროფკავშირთა კურორტების მართვის აჭარის საოლქო საბჭოს დასასვენებელი პანსიონატი „ბათუმი“ შემდგომა-ზამთრის პერიოდში (ოქტომბრიდან აპრილის ჩათვლით), როდესაც იგი ნაკლებადაა დატვირთული, გამოყენებულ იქნას სამკურნალო დაწესებულებად.

აღნიშნული ღონისძიება განხორციელდება პანსიონატის სარეკონსტრუქციო სამუშაოების დამთავრებისთანავე.

აჭარის ასსრ კურორტების მართვის საბჭოში შემავალი ობიექტები გასულ წელს ცუდად მარაგდებოდა კვების პროდუქტებით, განსაკუთრებით ბოსტნეულით, ხილით, რძის ნაწარმით. აჭარის კურორტაჭრობამ 1988 წელს დამსვენებლებს დააკლო ფონდით გამოყოფილი შემდეგი სახის პროდუქტები: 60 ტონა ხილი, 60 ტონა კარტოფილი, 78 ტონა ბოსტნეული, 6,5 ტონა თევზი, 84.839 ცალი კვერცხი, 25,1 ტონა რძე. სამწუხაროდ, ანალოგიური მდგომარეობა გრძელდება წელსაც.

იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს „მთავარწყალმომარაგების“ მიერ დროულად ვერ იქნა გადაწყვეტილი სეზონისათვის ციხისძირის ახალი წყალსატუმბავების გამოყოფა, პროფკავშირთა კურორტების მართვის საქართველოს რესპუბლიკურმა საბჭომ აღნიშნული ტუმბოების გამოყოფის საკითხი დააყენა საქართველოს სსრ მომარაგების სახელმწიფო კომიტეტის შესაბამისი სამსახურის წინაშე, რომლის გადაწყვეტა კონტროლზეა აყვანილი.

თიბვას შეუდგნენ მთიბავები

ცაგერი. საკვების ასაღები ტექნიკისათვის მიუდგომელ სიმაღლეებზე დაიწყებენ თიბვას ცაგერის რაიონის სოფელ ლუჭვნოს კოლმეურნეობა „პროგრესის“ მთიბავები. მეურნეობებში დამთავრდა მზადება ამ ხანმოკლე, მაგრამ დაძაბ

თვალსაზრისი

ბოლო წლებში როგორც რესპუბლიკური, ისე საქალაქო პერიოდული პრესა და ინფორმაციის სხვა საშუალებანი მრავალჯერ გამოუხმაურნენ ჩვენი დედაქალაქის განვითარების უაღრესად მნიშვნელოვან მხარეებს, მაგრამ დაბეჯითებით ითქვა, რომ ბევრი პრინციპული საკითხი უპასუხოდ დარჩა. ქალაქის ხელმძღვანელობა, შეხვედრები უწყებები და არქიტექტორთა საზოგადოებრიობა უმეტეს შემთხვევაში რატომღაც უფრო დუმილს ამჯობინებენ, ვიდრე საჯაროობრივ საკითხებზე დამაჯერებელი აზრის გამოთქმას. ეს გარემოება სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს საზოგადოებაში, რადგან დედაქალაქის ბედით, მისი დღევანდელი თუ ხვალინდელი მდგომარეობით არა მარტო თითოეული თბილისელია დაინტერესებული, არამედ მთელი რესპუბლიკა, რადგან თბილისი ერთიანი საქართველოს გულია, ერის მატერიალური და სულიერი კულტურის წარმმართველი ძალაა.

როგორ იზრდება დედაქალაქი?

ამ მრავალ პრობლემათა შორის, რომლებიც თბილისის წინაშე ურბანიზაციის ყოვლისმომცველმა პროცესმა დაყენა, ამჟამად მსჯელობის საგნად გვინდა გავხადოთ ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა დედაქალაქის ზრდა და ქუჩების ავტოტრანსპორტით გადატვირთვა, რადგან ეს საკითხები უშუალოდაა დაკავშირებული შემჩნეულ ძმიმე ეკოლოგიურ სიტუაციასთან. წინასწარ უნდა შევნიშნოთ, რომ საკითხი ეხება ქალაქის სწორად ზრდას და მასთან დაკავშირებულ სიძნელეებს, ანუ იმას, თუ რამდენად შეესაბამება მოსახლეობისა და ტერიტორიის შეუჩერებელი მატება თბილისის ჭეშმარიტ წინსვლას, მისი მრავალფეროვანი ცხოვრების ურთიერთდაკავშირებული ძირითადი მხარეების ჰარმონიულ განვითარებას. ისევე როგორც საზოგადოებური ცხოვრების არაერთ სფეროში, ქალაქის ზრდაც ბევრ შემთხვევაში არ ნიშნავს განვითარებას და ამდენად თავისი არსით ყოველთვის არ წარმოადგენს პროგრესულ მოვლენას.

როდესაც თბილისის ზრდას ვეხებით, არ შეიძლება მხედველობიდან გამოგვრჩეს ის გარემობა, რომ დედაქალაქი უაღრესად რთული ორგანიზმია და მისი თითოეული კომპონენტის ცვლილება შეიძლო კავშირშია საქალაქო ცხოვრების დანარჩენ მხარეებთან. მსგავლი ქალაქი რომ ნორმალურად ვითარდებოდეს, აუცილებელია მოსახლეობისა და ტერიტორიის ზრდის პარალელურად შესაბამისად ფართოვდებოდეს ადამიანების დასაქმების სფერო და მომსახურების ყველა შემადგენელი ნაწილი, კერძოდ, — შიგასაქალაქო კომუნიკაციები, საბინაო მშენებლობა, წყლითა და ენერგიით უზრუნველყოფა, კულტურულ-საგანმათლებლო, სამედიცინო და სავაჭრო მომსახურება. ერთ-ერთი გადამწყვეტი პირობაა ეკოლოგიური ოპტიმუმის შენარჩუნება, რის გარეშეც შეუძლებელია შეიქმნას ადამიანის ცხოვრების ნორმალური პირობები. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსახლეობის და ტერიტორიის ჰიპერტროფიული ზრდის შედეგად ქალაქში სერიოზული სიძნელეები წარმოიქმნება, რომელთა გადალახვა უტტკივნეულოდ არ ჩაივლის.

თუმცა მოსახლეობის მატება არ არის ქალაქის ტერიტორიის ზრდის ერთადერთი მიზეზი, მაგრამ ის მაინც რჩება ნებისმიერი დასახლების სივრცობრივი ორგანიზაციის განმსაზღვრელ ფაქტორად. თანამედროვე ქალაქების ზრდის ერთ-ერთი თავისებურებაა მოსახლეობის მატების პარალელურად განაშენიანებული ტერიტორიის უფრო სწრაფად გაფართოება. ამის გათვალისწინებით, საჭიროდ მიგვაჩნია გავარკვიოთ, თუ რამდენად გამართლებულია თბილისის მოსახლეობის ზრდის ტემპები თუნდაც ჩვენი საუკუნის 20-იანი წლებიდან დღემდე.

1926 წლის ბოლოს თბილისში იყო 294 ათასი მცხოვრები ანუ საქართველოს მაშინდელი მოსახლეობის 11 პროცენტი. 62 წლის შემდეგ (1989 წლის დასაწყისში) დედაქალაქის მოსახლეობა შეადგენდა 1260 ათასს, რაც რესპუბლიკის მთელი მოსახლეობის 23,1 პროცენტია. ამავე დროს, მხოლოდ 30 წლის მანძილზე (1955-1985 წ.წ.) დედაქალაქის განაშენიანებული ტერიტორია გაიზარდა 6320 ჰექტარიდან 13900 ჰექტარამდე ანუ 2,2-ჯერ. ამ პერიოდში საშუალოდ ყოველწლიურად განაშენიანებული ტერიტორიის ზრდა შეადგენდა 253 ჰექტარს ანუ ორნახევარ კვადრატულ კილომეტრზე მეტს. იმავე 30 წლის მანძილზე თბილისის მოსახლეობა დაახლოებით გაორკეცდა. პირდაპირ უნდა ითქვას: ეს ციფრები მეტად დამაფიქრებელია. თუ უახლოეს წარსულში საცხოვრებელ უბნებს, სამრეწველო-სატრანსპორტო საწარმოებს და სხვა მრავალი სახის ნაგებობას თბილისის ქვაბულის ერთი ნაწილი ეკავათ, ამჟამად ქალაქს აღარ ჰყოფნის მთელი ქვაბული და ახალმა უბნებმა არა მარტო დაიკავეს შემოგარენის ძვირფასი სასოფლო-სამეურნეო მიწები, არამედ ბევრ ადგილას უკვე გადალახეს მიმდებარე მთის კალთები და მოსახლეობრივ გორაკებსა და ქედებსაც გადასცდნენ. ჩვენ თვალწინ ქალაქის განაშენიანება შეუზღუდავად მიიწევს წინ ჰორიზონტის თითქმის ყველა მიმართულებით.

შეუძლებელია არ გავითვალისწინოთ შემდეგი გარემობა: ნაკლები გარანტია არსებობს იმისა, რომ უახლოესი 15-20 წლის მანძილზე ქალაქის მოსახლეობისა და განაშენიანებული ტერიტორიის ზრდის დღევანდელი ტემპები მნიშვნელოვნად შემცირდეს. ძნელი წარმოსადგენი არ არის, თუ რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს მომავალი რამდენიმე ათეული წლის მანძილზე თბილისის მოსახლეობის და განაშენიანებული ტერიტორიის მორიგ გაორკეცებას. დედაქალაქში თავს მოიყრის რესპუბლიკის მთელი მოსახლეობის მესამედზე მეტი, ხოლო განაშენიანება ბევრად გასცდება თბილისის ქვაბულს, დაიკავებს რა ვაჟიფას სასოფლო-სამეურნეო მიწებს და მოსაზღვრე ტყეან ფერდობებს. უაღრესად რთული რელიეფის მხედველობაში მიღებით, ეს ნიშნავს ქალაქის ერთიანი ორგანიზმის ისეთ ტერიტორიულ დანაწევრებას, რომელიც შეუძლებელ გახდის საქალაქო ცხოვრების ნორმალურ ფუნქციონირებას. თუ რეალობას თვალს გავუსწორებთ, თბილისის მოსალოდნელი ჰიპერტროფიული ზრდა არ გვაძლევს დამშვიდების საბაბს.

შექმნილი მდგომარეობა და მომავლის პერსპექტივები გვიკარნახებს პასუხი გავცეთ რამდენიმე კითხვას. პირველ ყოვლისა, — რამდენად შეესაბამება რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინტერესებს თბილისის მოსახლეობის ასეთი დაჩქარებული ზრდა?

ცნობილია, რომ თანამედროვე urბანიზაცია ბევრად აჩქარებს ქალაქების, განსაკუთრებით — მსხვილი საქალაქო ცენტრების ზრდას. მაგრამ საქმე არც ისეა, თითქოს ნებისმიერი დედაქალაქის დაჩქარებული ზრდა ფატალური გარდუვალობა იყოს. მსოფლიოს არაერთ ისეთ სახელმწიფოში, რომელიც მოსახლეობის რაოდენობით საქართველოს უახლოდება, დედაქალაქის მცხოვრებთა ხვედრითი წონა მთელ მოსახლეობაში არ აღემატება 8-11 პროცენტს. ასეთია, მაგალითად, შვედეთი (დედაქალაქი სტოკჰოლმი), ფინეთი (ქელსინკი), ნორვეგია (ოსლო), ჰონდურასი (ტეგუსიკალპა) და სხვ. რაც შეეხება შვეიცარიას, მის დედაქალაქ ბერნზე მოდის ქვეყნის მოსახლეობის მხოლოდ 2,2 პროცენტი, იემენის არაბთა რესპუბლიკაში კი 4,1 პროცენტი. აღარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ უფრო დიდ სახელმწიფოებში ბევრად მცირეა დედაქალაქების მოსახლეობის ხვედრითი წონა, ვიდრე ეს დასახელებულ სანდინავიის ქვეყნებში. რა თქმა უნდა, უცხოთის ქვეყნების სტანდარტების უცვლელად გადმოტანა ჩვენ სინამდვილეში არ არის აუცილებელი, მაგრამ არც მათი სრული უგულებელყოფაა გამართებული. მთავარი კი ის არის, რომ ქალაქების ჰიპერთროფიული განვითარება ბრავალ ნაკლს შეიცავს და, სამწუხაროდ, არც ჩვენი დედაქალაქია ამ მხრივ გამონაკლისი. თბილისის განაშენიანებული ტერიტორიის მეტისმეტმა გაფართოებამ დიდად გაზარდა შიგასაკომუნიკაციო ხაზები და „გაართულა კავშირი ქალაქის ცალკეულ ნაწილებს შორის. იმავე მიზეზით შეიქმნა ქალაქის ცენტრალურ რაიონებში და ბევრი მთავარი მაგისტრალის მიდამოებში მძიმე ეკოლოგიური სიტუაცია, რადგან აქ გამავალი ქუჩების საშუალებით უკავშირდებიან ერთმანეთს დედაქალაქის სწრაფადმზარდი დასავლეთი და ჩრდილოეთ-დასავლეთი რაიონები აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ რაიონებს.

ბუნებრივი გამრავლების გზით თბილისის მოსახლეობა უფრო ნელა იზრდება, ვიდრე რესპუბლიკის მთელი მოსახლეობა (შესაბამისად ბოლო ათი წლის მანძილზე საშუალოდ ყოველწლიურად 7,6 და 9,3 პრომილე). მაგრამ დედაქალაქის მოსახლეობის ზრდას აჩქარებს მიგრანტთა საკმაოდ მძლავრი ნაკადი, საქართველოს სოფლებიდან და დანარჩენი ქალაქებიდან რომ მოედინება თბილისისაკენ. ამიტომ დედაქალაქის მოსახლეობის ფაქტიური მატება საშუალოდ ყოველწლიურად შეადგენს 16,7 პრომილეს ანუ 19,4 ათას კაცს. საინტერესოა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის მოსახლეობის ყოველწლიური ფაქტიური მატების თითქმის ნახევარი თბილისზე მოდის. ეს ხდება იმის შედეგად, რომ მთლიანად რესპუბლიკას და მის დედაქალაქს ერთმანეთის საწინააღმდეგო მიგრაციული პროცესები ახასიათებს: დანარჩენ მოკავშირე რესპუბლიკებთან საქართველოს აქვს მოსახლეობის გაცვლის უარყოფითი ბალანსი — ბოლო ათი წლის მანძილზე საშუალოდ ყოველწლიურად წასულთა რაოდენობა 5,3 ათასი კაცით ჭარბობს მოსულთა რაოდენობას; თბილისში კი პირიქით — მიგრაციის ყოველწლიური დადებითი სალდო შეადგენს 10-11 ათას კაცს. ქალაქის მოსახლეობის ზრდის რეგულირების მიზნით დიდი ხანია არსებობს გარედან მოსულთა თბილისში ჩაწერის აკრძალვა. კანონი კი არსებობს, მაგრამ იგი არ სრულდება. უნდა ვაღიაროთ, რომ მისი გვერდის აავლა ქალაქის ადმინისტრაციული ორგანოების არაერთი თანამშრომლის უკანონო შემოსავლის ერთ-ერთ წყაროდაა ქცეული. თბილისის მოსახლეობის ზრდაზე ყველაზე მეტად ის ახდენს გავლენას, რომ დედაქალაქში მეტად სწრაფად მატულობს მუშახელის და სპეციალისტების რაოდენობა როგორც საწარმოო, ისე არასაწარმოო სფეროს დარგების, რაციონალური ტერიტორიული განლაგება რესპუბლიკის ხელმძღვანელი შგეგმაგი' ორგანოების უთუოდ მეტ ყურადღებას მოითხოვს. თბილისში უნდა არსებობდეს მრეწველობის მხოლოდ კვალიფიციური დარგების საწარმოები და ისეთი სამეურნეო წამოწყებანი, რომლებიც თვით ქალაქის მოსახლეობას უწევენ მომსახურებას. რიგი სამრეწველო საწარმოს რეკონსტრუქცია ორიენტირებული უნდა იყოს თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის უახლეს მიღწევებზე, მათ შორის მეცნიერებატევადი (და არა შრომატევადი) წარმოების განვითარებაზე. უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე თბილისში შეიქმნა ბევრი ისეთი მანქანათმშენებელი საწარმო, რომლებიც რესპუბლიკის სხვა ქალაქებშიც, მთა შორის თვით დედაქალაქის აგლომერაციაში შემავალ პუნქტებშიც შეიძლებოდა განლაგებულიყო. სამრეწველო წარმოების სივრცობრივი ორგანიზაცია აუცილებელია ითვალისწინებდეს მოსახლეობის რაც შეიძლება თანაბარ განაწილებას რესპუბლიკის ცალკეულ რეგიონებს შორის და ხელს არ უნდა უწყობდეს მცხოვრებთა დაჩქარებულ ლტოლვას დედაქალაქისაკენ. ეს აუცილებელია მრავალი მოსაზრების გამო და, პირველ ყოვლისა, მთელი რესპუბლიკის ტერიტორიისა და შრომითი რესურსების ეფექტიანი გამოყენების თვალსაზრისით. ჩვენ ნაკლებად ვუწევთ ანგარიშს იმ გარემოებას, რომ ტერიტორია უმნიშვნელოვანესი ბუნებრივი რესურსია და მისი მაქსიმალური ეფექტით გამოყენება ეკონომიკური წინსვლის ერთ-ერთი გადამწყვეტი წინაპირობაა.

ამ მხრივ ყველაზე სერიოზულ ნაკლად უნდა მივიჩნიოთ მიწების დიდი რაოდენობით ამოღება სასოფლო-სამეურნეო წარმოებიდან და მათი სხვა მიზნებით მეტად უყაირათო გამოყენება. თუ რამდენად არასახარბიელოა მდგომარეობა აღნიშნულ სფეროში, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ შემდეგი მონაცემების საშუალებით: ყოველწლიურად რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო სავარგულებიდან 3-4 ათასი ჰექტარი მიწა გადაეცემა სხვა საამეურნეო ორგანიზაციებს და საქალაქო დასახლებებს. ასეთი მიწების მეტი ნაწილი სახნავ-სათესია ან მრავალწლიანი ნარგავებითაა დაკავებული. რა თქმა უნდა, მიწების დანიშნულების შეცვლა დაკავშირებულია სწარმოო ძალების განვითარებასთან და ბევრ შემთხვევაში გარდუვალია, მაგრამ უაღრესად აუცილებელია მტკიცე კონტროლის დაწესება ამ უმნიშვნელოვანესი ეროვნული სიმდიდრის გამოყენებაზე. ეს ეხება ქალაქების განაშენიანებისათვის მიწების გამოყენებას და პირველ რიგში რესპუბლიკის დედაქალაქის ტერიტორიულ ზრდას, რადგან მიუღებელია არა მარტო სასოფლო-სამეურნეო ბრუნვიდან მიწების გაუმართლებელი ამოღება, არამედ გასათვალისწინებელია იგრეთვე თვით ქალაქის შიგა კომუნიკაციების სისტემატური ზრდის უარყოფითი შედეგების თავიდან აცილება.

დღეს ყველასათვის ცხადია, თუ რა სერიოზული სინძელეები წარმოშვა თბილისის განაშენიანებული ტერიტორიის მეტისმეტმა გაფართოებამ. ცენტრალური უბნების ქუჩები დიდ დაბრკოლებად იქცნენ ქალაქის ცალკეული რაიონების ურთიერთკავშირის დამყარებაში. შეუჩერებელმა ტერიტორიულმა ზრდამ გამოიწვია შიგასაქალაქო ტრანსპორტის სულ უფრო ინტენსიური გზმოყენება და როგორც მაგისტრალური, ისე დანარჩენი ქუჩების მკვეთრად გადატვირთვა. განსაკუთრებით სწრაფად იზრდება ავტობუსებისა და პირადი სარგებლობის მსუბუქი მანქანების მოძრაობა. ამის შედეგად დღევანდელი თბილისი ტრანსპორტის მოძრაობის გადატვირთვით ერთ-ერთ პირველ ადგილზეა არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ მთელ მსოფლიოშიც. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ, პირველ ყოვლისა, ამის შედეგადაა ქალაქი ამჟამად მძიმე ეკოლოგიურ სიტუაციაში. გარდა იმისა, რომ ქალაქის უმეტეს რაიონებში ჰაერის დაჭუჭყიანება დასაშვებ ნორმებს სულ მცირე, რამდენჯერმე მაინც აჭარბებს, ტრანსპორტით გადატვირთული ქუჩები და პერმანენტულად წარმოქმნილი „საცობები“ უაღრესად ცუდად მოქმედებს ადამიანების ფსიქიკაზე, მათ გუნება-განწყობილებაზე.

საქმე მარტო ის კი არაა, რომ დედაქალაქში დიდი რაოდენობით მოიყარა თავი მსუბუქმა ავტოტრანსპორტმა. არანაკლებ მნიშვნელოვანია შემდეგი გარემობა: საბჭოთა კავშირის არცერთ დედაქალაქში და სხვა მსხვილ ქალაქებში ასე ინტენსიურად არ იყენებენ საკუთარ ავტომანქანას, როგორც თბილისში. პირდაპირ მოარულ სენად იქცა თბილისელ ავტომფლობელთა უმეტესობისათვის — სამუშაო ადგილზე პირადი მანქანით გამოცხადება. ასეთი სურათი მარტო ავტოინსპექციის ხანგრძლივმა დაკვირვებამ როდი გამოავლინა; თითოეული ჩვენთაგანი ამჩნევს, თუ როგორ ზის მანქანაში უმეტეს შემთხვევაში მხოლოდ ერთი ადამიანი. ზოგჯერ ეს განპირობებულია ქალაქის ტერიტორიის მეტად სწრაფი ზრდით და ბევრი განაპირა უბნის ძნელადმისადგომობით, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ხომ არის შესაძლებლობა მსუბუქი ავტომობილის მფლობელმაც ისარგებლოს საქალაქო ტრანსპორტით? რა თქმა უნდა არის, მაგრამ ამისათვის საჭიროა ადამიანი არ ზრუნავდე მარტო საკუთარ შენთვის კომფორტის შექმნაზე, თანაც ისეთი „კომფორტისა“, რომელიც საბოლოოდ კვლავ შენი და შენი ახლობლების ჯანმრთელობას ვნებს, რომ აღარაფერი ვთქვათ ქალაქისა და მისი მოსახლეობის ერთობლივი ინტერესების სრულ უგულებელყოფაზე.

თბილისის ქუჩების ავტოტრანსპორტით გადატვირთვის საკითხი უკანასკნელ წლებში იმდენად გამწვავდა, რომ ის ჩვენი ქალაქის გაზეთების ყურადღების ცენტრში მოექცა. არაერთმა თანამოქალაქემ გამოთქვა თავისი აზრი გაზეთ „თბილისის“ ფურცლებზე და შემოიტანა წინადადებანი. რა თქმა უნდა, მსუბუქი მანქანის მფლობელებს არ აწყობთ ავტომობილების მოძრაობის შეზღუდვა და გვთავაზობენ გავაუმჯობესოთ ბენზინის ხარისხი, მოვაწესრიგოთ მანქანის ძრავის სეფვაეთ კვება, გავაფართოვოთ ქუჩები და მოვდნები, გავზარდოთ მოძრაობის სიჩქარე და ა. შ. ეს ღონისძიებანი სასარგებლოა, მაგრამ, კიდევაც რომ შეიძლებოდეს მათი დაუყოვნებლივ განხორციელება, ისინი მაინც არ ‹ქმარა პრობლემის რადიკალური გადაჭრისთვის. უნდა გვახსოვდეს, რომ ქალაქის ტერიტორია შეუჩერებლივ ფართოვდება და ყველა სახის ავტომანქანების რაოდენობაც სწრაფად იზრდება. ასე რომ, თუ არ განხორციელდა ეფექტური ღონისძიებანი, ახლო მომავალში მდგომარეობა ბევრად უფრო გაუარესდება და ქალაქის ატმოსფერო, უბრალოდ რომ ვთქვათ, გაუძლისი გახდება, ხოლო ფეხით მოსიარულეთათვის ქუჩის გადაკვეთა წარმოუდგენლად გახდელდება. საბოლოოდ, თავიდან ვერ ავიცილებთ ქალაქში ტრანსპორტის მოძრაობის პარალიზებას.

ასეთ სავალალო მდგომარეობაში რომ არ აღმოვჩნდეთ, აუცილებელია შევზღუდოთ როგორც ქალაქის ტერიტორიის შემდგომი გაფართოება, ისე ტრანსპორტის მოძრაობა. თბილისის ქუჩების ტრანსპორტით გადატვირთვა ამჟამად უკვე იმდენად მწვავე პრობლემად იქცა, რომ დაუშვებელია მის გადაჭრაში რაიმე დაყოვნება. შექმნილი მდგომარეობა რომ კიდევ უფრო არ გაუარესდეს, საჭიროა განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები.

მგეგმავმა ორგანოებმა გადაჭრით უნდა თქვან უარი დედაქალაქში სამრეწველო ტერიტორიების გაფართოებაზე. არსებულ საწარმოთა გაფართოება-რეკონსტრუქცია შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მომუშავე პერსონალის რაოდენობის ზრდის გარეშე. რიგი ისეთი საწარმო, რომელიც ზიანს აყენებს ქალაქის ეკოლოგიურ სიტუაციას, უნდა გავიტანოთ დედაქალაქის აგლომერაციიდან შემავალ სხვა პუნქტებში. ასევე შეიძლება განიტვირთოს ქალაქი ზოგიერთი უწყება-ორგანიზაციის სხვა ქალაქში გადატანის შედეგად. იმ საწარმოთა ნაცვლად, რომელთა გატანა ქალაქიდან ეკოლოგიური მოსახრებითაა ნაკარნახევი, შეიძლება შეიქმნას სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებათა მოთავე ქარხნები, მათთვის დამახასიათებელი წარმოების მაღალი კულტურით. ასეთი საწარმოები ორიენტირებული უნდა იყოს ადგილობრივი მაღალკვალიფიციური შრომითი კონტინგენტების გამოყენებაზე და არა გარედან ჩამოყვანილ ძალის შემოყვანაზე.

თბილისის ტერიტორიის რაციონალურად სარგებლობის მიზნით აუცილებელია ზოგიერთი საწარმოს ან მომსახურების ობიექტის განლაგებისათვის ფართოდ გამოვიყენოთ მიწისქვეშა სივრცეები. ეს პირველ რიგში ეხება ავტომეურნეობების განლაგებას, რომლებსაც ამჟამად ქალაქის ცენტრალურ რაიონებში უკავიათ ძვირადღირებული მიწები. ისინი უნდა გავიტანოთ განაპირა უბნებში ან განლაგდნენ მიწისქვეშ — უპირატესად მტკვრის სანაპიროების გასწვრივ და მოსაზღვრე ფერდობების ძირში. უნდა მოეწყოს გარაჟები კერძო მანქანებისათვის, რათა ეზოები და ქუჩები არ წარმოადგენდნენ ავტოსადგომებს. უდიდესი დანაშაულია ის ფაქტი, რომ თბილისელ ბავშვებს წავართვით ეზოები. ქალაქის ცენტრალურ, მჭიდროდ დასახლებულ უბნებში გარაჟების და სხვა საწარმოთა მიერ გამოთავისუფლებული ფართობები უნდა დაეთმოს გამწვანებას ან სხვა აუცილებელ ობიექტებს.

უფრო გაბედულად უნდა განხორციელდეს ცენტრალური რაიონების რეკონსტრუქცია. გაფართოვდეს რიგი ისეთი ქუჩა, რომელიც მეტი რაოდენობით გაატარებს ქალაქის ტრანსპორტს. ქალაქის ცენტრალურ უბნებში, სადაც რკინიგზის ხაზი გადის ტონელში, უნდა მოხდეს ამ უკანასკნელის გადახურვა და მოეწყოს მაგისტრალური ქუჩა რკინიგზის ცენტრალურ სადგურსა და ნავთლუღის საკვანძო სადგურს შორის. ეს შექმნის სანაპიროების მაგისტრალურ დუბლს და მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს სატრანსპორტო კავშირს თბილისის ჩრდილოეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ რაიონებს შორის.

დაუყოვნებლივ უნდა გაიშალოს მუშაობა ავტოტრანსპორტით უაღრესად გადატვირთული რუსთაველის და დავით აღმაშენებლის პროსპექტების დუბლების შესაქმნელად, ასევე რიგი საკვანძო სატრანსპორტო პუნქტის გასაფართოებლად. შეუძლებელია შეურიგდეთ ორივე ცენტრალური პროსპექტის — თბილისის ამ ყველაზე პრესტიჟული მაგისტრალების — დღევანდელ მდგომარეობას, როცა ადამიანს აქ ფეხით გავლა კი არა, სუნთქვაც კი უჭირს. ვიდრე ასეთი დუბლები არ შექმნილა, სავსებით გამართლებული იქნება საღამოს 7 საათიდან რუსთაველის და დავით აღმაშენებლის პროსპექტებზე ავტომანქანების მოძრაობის აკრძალვა (გარდა საზოგადოებრივი სამგზავრო ელექტროტრანსპორტისა). რათა დავუბრუნოთ თბილისელებს გართობა-გასეირნების ეს ტრადიციული ადგილები.

მსუბუქი ავტოტრანსპორტის მოძრაობის შეზღუდვის მიზნით უნდა დაწესდეს თითოეული ავტომფლობელისათვის საწვავის ისეთი ლიმიტი, რომელიც გამორიცხავს მანქანის გადამტებულ მოძრაობას და ხელს შეუწყობს ქალაქში ამჟამად შექმნილი კრიზისული სიტუაციის განმუტრვას. დასანანია, რომ მსუბუქი ავტომანქანის ბევრი მფლობელი მხოლოდ თავისი პირადი ინტერესებიდან გამომდინარე ეწინააღმდეგება ავტოტრანსპორტის მოძრაობის შეზღუდვას და ანგარიშს არ უწევს მილიონიანი ქალაქის მცხოვრებთა უდიდესი ნაწილის სამართლიან მოთხოვნას.

მეტი პასუხისმგებლობით უნდა მოვეკიდოთ ქალაქის არქიტექტურულ-მხატვრული გაფორმების საკითხებს, დღემდე ამ სფეროში სრულიად გამოოთშულია საზოგადოებრივი აზრი. ბევრი ისეთი პროექტი (საზოგადოებრივი შენობის, ძეგლის, მემორიალის და სხვ.), რომლის განხორციელებასაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება თბილისის იერსახის ჩამოყალიბებაში, ადამიანთა ვიწრო წრეში, ან სულაც რომელიმე ხელმძღვანელი პოსტის მფლობელის ერთპიროვნული გადაწყვეტილებით ხორციელდება. მრავალი ასეთი ფაქტიდან დავასახელებ შემდეგს: რესპუბლიკის მოედანზე აღმართული თაღები, მეგობრობის პროსპექტის დაბოლოებაზე სიმბოლური ქანდაკება, რომელსაც თბილისელებმა „ქერის წისქვილი“ შეარქვეს (ის ქარმა დაანგრია და ახლა იქ კვლავ იდგება რაღაც ძეგლი); აეროპორტის წინ შექმნილი მოზაიკური პანო, დავით აღმაშენებლის პროსპექტზე მდებარე პარტიული განათლების სახლის ფასადის გაფორმება და სხვა. სამწუხაროდ, ასევე საზოგადოებრივი აზრის გვერდის აავლით დაიწყეს „თბილისის ზღვა“ დიდი მემორიალის შექმნა; არც დავით აღმაშენებლის ძეგლისთვის შერჩეული ადგილი და თვით ძეგლის პროექტი ყოფილა განხილული და მოწონებული საზოგადოებრიობის მიერ.

დაბოლოს, თბილისელთა საყოველთაო გულისწყრომას იწვევს საბინაო და კეთილმოწყობითი სამუშაოების დაბალი ხარისხი; საყოველთაოდ ცნობილია, რომ ახლად აგებულ საცხოვრებელ სახლებში შესახლებულ მობინადრეთა უმრავლესობას ხელახლა უხდება ბევრი სახის სამუშაოს შესრულება, რაც საკმაოდ ძვირი ჯდება და, ამავე დროს, დეფიციტური სამშენებლო მასალების დიდ დანახარჯვას და მუშახელის ყოვლად არარაციონალურ გამოყენებას იწვევს. ეს გარემოება საბოლოოდ ბინათმშენებლობის გეგმების შეუსრულებლობის ძირითადი მიზეზია. ამას ერთვის აგრეთვე კეთილმოწყობითი სამუშაოების უხეირო ორგანიზაცია. ისეთი სამუშაოები, რომლებიც შემჭიდროებულ ვადებში უნდა სრულდებოდეს, ხშირად მრავალი წლის მანძილზე ჭიანურდება. ამის ერთ-ერთი მიზეზია საკვანძო ობიექტებზე სამუშაოების პარალელურად წარმოება. მაგალითად, რამდენიმე წელია ერთდროულად მიმდინარეობს დიდუბისა და ვაჯუშტი ბაგრატიონის სახელობის ხიდების მისადგომების, აგრეთვე მარჯანიშვილის ქუჩის და არაერთი სხვა ობიექტის რეკონსტრუქცია. ხშირად ამ ობიექტებზე ერთ მომუშავესაც კი ვერ ნახავთ, იმის ნაცვლად, რომ სამუშაოები ორ-სამ ცვლაში მიმდინარეობდეს. ეს იწვევს მიმდებარე ქუჩებზე ტრანსპორტის მოძრაობის დიდ შეფერხებას და აძლიერებს გამონაბოლქვით ჰაერის დაჭუჭყიანებას, რის შედეგადაც მკვეთრად უარესდება დედაქალაქის ეკოლოგიური სიტუაცია.

ფართო საზოგადოებრიობისათვის, მთელი ქართველი ხალხისათვის, რა თქმა უნდა, მეტად მნიშვნელოვანია, რას ფიქრობენ თბილისის დღევანდელ მდგომარეობაზე ქალაქის ხელმძღვანელობა და ის უწყებანი, რომლებიც უშუალოდ თუ არაპირდაპირ დაკავშირებული არიან საქართველოს დედაქალაქის ზრდის პრობლემებთან. ვიმედოვნებთ, წერილში დასმული საკითხები და კონკრეტული წინადადებანი კვლავინდებურად არ დარჩება „ხმად მღაღადებლად უდაბნოსა შინა“. ჩვენ გვწამს, რომ დუმილი თბილისის მრავალი საჭირბოროტო საკითხის ირგვლივ ბოლოს და ბოლოს დარღვევა.

ვახტანგ ჯაოშვილი,
საქართველოს ეკონომიკური საზოგადოების პრეზიდენტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

ანდრია ანდრიას ძე გრომიკო

გარდაიცვალა ჩვენი ქვეყნის დიდი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი ანდრია ანდრიას ძე გრომიკო. მან ცხოვრების დიდი გზა გამოიარა ჩვენი ქვეყნის ინტერესების სამსახურში მისი რთული და წინააღმდეგობრივი განვითარების სხვადასხვა პერიოდში.

ა. ა. გრომიკო დაიბადა 1909 წელს, 30-იანი წლების დამდეგს მიიღო უმაღლესი ეკონომიკური განათლება, დაამთავრა ასპირანტურა, ხოლო 1936 წლიდან 1939 წლამდე ჩათვლით მუშაობდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტში.

1939 წლიდან იწყება ა. ა. გრომიკოს ხანგრძლივი, ნაყოფიერი მუშაობა დიპლომატიურ სარბიელზე. ომის წლებში და უშუალოდ მის შემდეგ იგი სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩია ამერიკის შეერთებულ შტატებში, 50-იანი წლების დამდეგს — დიდ ბრიტანეთში, იყო სსრ კავშირის მუდმივი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოში, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, პირველი მოადგილე, ხოლო 1957 წლიდან — სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი. 1983-1985 წლებში იყო აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

ა. ა. გრომიკოს დიპლომატიური საქმიანობა ფართოდ იყო ცნობილი ჩვენს ქვეყანაში და საზღვარგარეთ. იგი მონაწილეობდა სამი დიდი სახელმწიფოს — სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობათა მეთაურების ყირიმისა და პოტსდამის კონფერენციების მუშაობაში (1945 წ.). მან ხელი მოაწერა — საბჭოთა სახელმწიფოს სახელით — დოკუმენტს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შექმნის შესახებ.

ა. ა. გრომიკო სათავეში ედგა სსრ კავშირის დელეგაციებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მრავალ სესიაზე, საერთაშორისო კონფერენციებსა და მოლაპარაკებებზე და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში.

**ა. ა. გრომიკო იყო სსრ კავშირის ხელოვნების ერთ-ერთ ფასეულ ძეგლად ითვლება. ეს ბრონზის ბიუსტი ეკუთვნის ცნობილ ქართველ მოქანდაკეს, ალექსანდრ ფოფხაძეს. ბიუსტი ადგილობრივ ბრინჯაოს ბრონზისგან ჩამოსხმულ ბრონზის ბაზაზე დგას. ბიუსტის ფუძეზე ამოტვიფრულია ეპიგრაფი: „ანდრია ანდრიას ძე გრომიკო“. ბიუსტი ეკუთვნის ბ. ბ. ბ.

აღორძინდება ნასოფლარი, ნაქართველარი

ვინც ჯავახეთში ყოფილა, ჩაუსუნთქავს ყვავილთაგან მონბადერი, თაფლისა და გათიბული ბალახის სურნელების ნახავი აქაური ჰაერი, უხილავს ანკარა წყაროები, საღამოსა და თავფარავნის თეგზსავსე ტბები, უგემნია აქაური კალმახი და ორაგული, მწყერი და გნოლი, იხვი და კაკაბი, არ გიიკვირებს, თუ რატომ იყო ეს მხარე ქართველ მეფეთა საუფლისწულო მამული.

არწივთა საბუდარ ქლდეთა გულებიდან გადმომსკდარი ნაკადულები თოკებივით ჩაკიდებულან ქარაფებსა და ხეობებში. ბუმბერაზი მთების, ლერწად მოლიელივე ტბების, ნოყიერი სახნავ-სათესისა და თვალუწვდენელ იალაღ-სანავარღოთა მხარეში პირველად მოხვედრის რაღაც ამაღლებული გრძნობა მეუფლება. გიკვირს და ნანობ, რომ აქამდე არ გინახავს ეს ღვთიური სილამაზე.

ყოველივე ეს ასეა, მაგრამ მარტო ამ მშვენიერებით დასატკბობად არ მოსულან დღეს ჯავახეთში ქართველები აჭარის მხრიდან. კაცმა რომ თქვას, ბუნებისა და სანახების სილამაზე ქნელად თუ გააკვირვებს აჭარელ კაცს. ანდა მოიპოვება კი ჩვენს სამშობლოში უხვირო, ულამაზო ადგილი? ნამდვილად არა.

ქართველებმა მიატოვეს აჭარის მთები, მთები, რომლებიც თითქოს აუჯანყდნენ ადამიანებს, შური იძიეს თავიანთი დასახჩრება-გაღარიბებისათვის. და აი, ისინი ჩამოვიდნენ ჯავახეთში. პირველნი, ვინც მათ დახმარების ხელი გაუწოდეს, ახალქალაქის რაიონის მცხოვრებლები იყვნენ. თვითონვე აირჩიეს სოფლები ოკამი, გოგაშენი, აფნია, პტენა, კოთელია, ჩუნჩხა. ამ სოფლებში ესახლება სტიქიით დაზარალებული 500-ზე მეტი ოჯახი, რიყეთის, ოქტომბრის, ოქრუაშვილების, ღურტის, ბოძაურის, დანისპარაულის მცხოვრებლები: პაპიძეები, ჯილაძეები, შამანიძეები, შავაძეები, ხოზრევანიძეები, ღორჯომელაძეები, კოჩალიძეები, კახაძეები, ხმალაძეები, აბაშიძეები, ჩიტაძეები, პაქსაძეები, ბოლქვაძეები, სხვანი და სხვანი.

მთავრობის გადაწყვეტილებით აჭარელთა განსახლების ადგილებში გაშენდება თანამედროვე ტიპის სოფლები. გაიყვანენ წყალსადენებს, გაასარწყავიანებენ სავარგულებს, უფასოდ აუგებენ საცხოვრებელ სახლებს.

თითოეულ მოსახლეს აქ ეძლევა 0,35 ჰა, საკარმიდამო ნაკვეთი. ახალქალაქის რაიონის ხელმძღვანელობა ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ნორმალური საყოფაცხოვრებო და სამუშაო პირობები შეუქმნან მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე მოსულ მოსახლეობას. ყველგან მოგვარებულია მუშათა სასადილოების მუშაობა. სოფლის მაღაზიებში მუდმივადაა პირველი მოთხოვნილების საგნები, კვების პროდუქტები. პარტიის ახალქალაქის რაიკომის პირველმა მდივანმა მამიკონ ფიდანიანმა და ხელოს რაიკომის პასუხისმგებელმა მუშაკმა არჩილ ქიმადაძემ (რომელიც ორ თვეზე მეტია ახალქალაქშია) აღნიშნეს: მიუხედავად იმისა, რომ ჯერჯერობით ჩამოსახლებულთათვის ვერ მოეწყო კაპიტალური ბინებისა და სხვა ნაგებობების აგება, ის მაინც გაკეთდა, რომ ყოველ ოჯახს მიეზომა საკარმიდამო ნაკვეთი, რომლებსაც უკვე დაეპატრონენ, უვლიან და ამასთან აქტიურად მონაწილეობენ საზოგადოებრივ შრომაშიც. ყოველ მათგანს კარგად ესმის: იმ ზარალის ასანაზღაურებლად, სტიქიამ რომ მიაყენა-თ, დაუღალავი და მუხლჩაუხრელი შრომაა საჭირო. რის 6 საათი, რის 8 საათი სამუშაო დრო! — აქ ახლა გათენებიდან დაღამებამდე შრომობს ყველა. მათი ასეთი შემართება ყველას ახარებს. ქართველი თუ სომეხი, დიდი თუ პატარა მათ მიმართ უაღრესად კეთილადაა განწყობილი, მზად არიან ყოველგვარი დახმარებისათვის, მხარში ამოდგომისათვის. სწორედ ამისკენ მოგვიწოდებდა ამხანაგი მიხეილ გორბაჩოვი ამასწინათ ცენტრალური ტელევიზიით გამოსვლისას.

მამიკონ ფიდანიანმა ისიც გვითხრა, — ვინაიდან ახლად ჩამოსახლებულებს შედარებით დაბალპროდუქტიული პირუტყვი ჰყავთ, რაიონის საზოგადოებრივი მეურნეობები მზად არიან, თუ ამას თვითონ ისურვებენ, შეუცვალონ ისინი ჯიშიანი საფურე დეკეულებითო.

ახლა მოსაგვარებელ პრობლემებსაც უნდა შევეხოთ.

ახალქალაქში 500 ოჯახის ჩასახლება იმას ნიშნავს, რომ რაიონს დაახლოებით 3000 მცხოვრები დაემატება. აქ მკაცრი ზამთარი იცის, რომელიც 7-8 თვეს გრძელდება. ახალქალაქის რაიონის სათბობებზე მოთხოვნილება კი მხოლოდ 25-30 პროცენტით კმაყოფილდება. ადვილად წარმოსადგენია, რა ვითარება შეიქმნება აქ 500 ოჯახის, 500 კერიის დამატების შემდეგ. ამიტომ საჭიროა, ვინაც ჯერ არს, ახლავე დაიჭიროს თადარიგი, რათა ახალქალაქის რაიონს დამატებით მიაწოდონ 6000 ტონა ქვანახშირი და 200 ტონა ღუმელის საწვავი მაინც.

ასევე არ უნდა გაჟიანუროს საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის გამგეობამ სურსათისა და სამრეწველო საქონლის ფონდების დამატებით გამოყოფა ახალქალაქის რაიონისათვის.

რაიონს დამატებით უნდა გამოეყოს ავტოსატრანსპორტო საშუალებები და მძლავრი ტექნიკა საგზაო მშენებლობისათვის, სოფლების კეთილმოსაწყობად.

დროულად უნდა დამთავრდეს რაიონული ცენტრალური საავადმყოფოს, სანეპიდსადგურის, მაღაზიების, აბლარ-ჩუნჩხის წყალსადენის დაწყებული მშენებლობები. ახლად აღორძინებულ სოფლებში აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ბავშვთა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მშენებლობა.

უნდა დაკმაყოფილდეს რაიონის საჭიროება მასწავლებლებზე, ექიმებზე, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებზე.

უნდა ამოქმედდეს რკინიგზის ხაზი თბილისი-მარაბდა-ახალქალაქი, რომელიც დღემდე თითქმის უმოქმედოდაა. დაწესდეს ავტობუსის მარშრუტი ახალქალაქი-ხიზანი.

სასწრაფოდ უნდა დაიდგას ფინური სახლები, სხვა ტიპის დროებითი საცხოვრებლები და გაიზარდოს ბინათმშენებლობის ტემპი — დღევანდელი ნამდვილად არაა საკმარისი.

იმისათვის, რომ მინიმუმამდე შემცირდეს აჭარელთა ჩასახლებასთან დაკავშირებული ღონისძიებების გატარებისა და წამოჭრილ პრაქტიკულ საკითხთა გადაჭრის ვადები, არ იყოს გაუგებრობა და მცირედი შეუთანხმებლობაც კი იმ ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს შორის, რომლებიც მონაწილეობენ ამ უდიდესი მნიშვნელობის საქმეში, საჭიროა ახალქალაქის რაიონული საბჭოს აღმასკომს დაემატოს განთავისუფლებული მოადგილის ერთი საშტატო ერთეული, რომელიც ამ რეგიონში მხოლოდ და მხოლოდ სტიქიით დაზარალებულთა ჩასახლებას გაუწევს ხელმძღვანელობას.

თუ ეს პრობლემები არ მოგვარდა და მუშაობა ასეთივე ტემპით გაგრძელდა, ეს სასწრაფოდ გასაკეთებელი საქმე წლების განმავლობაში გაჭიანურდება და, შესაძლოა, სასურველ შედეგამდე ვერც მივიდეს და მასაც ისეთი ბედი ეწიოს, როგორიც საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინა წლებში მიღებულ დადგენილებებს „ახალქალაქის რაიონის შემდგომი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შესახებ“, რომელთა მინიმუმიც კი არ შესრულებულა გათვალისწინებულ ვადებში.

ელგუჯა კობაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

რედაქციისაგან: ითვალისწინებს რა ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემების დიდ სოციალურ-ეკონომიკურ და ეროვნულ მნიშვნელობას, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქცია ახალქალაქის რაიონში ყმნის თავის საგუშაგოს, რომელიც რეგულარულად მოგვაწოდებს ცნობებს იმის თაობაზე, თუ როგორ ხორციელდება აჭარელთა ჩამოსახლებასთან დაკავშირებული ღონისძიებები.

ფოლკლორული ანსამბლები

● „შარა-შარა, შუკა-შუკა“... ეფინება მელოდია დარბაზს. მაყურებელი ფეხზე ამდგარი მართავს ოვაციას. თუმცა, ამ პოპულარულ სიმღერას პირველად როდი ისმენს თავისი საუვარელი ანსამბლის შესრულებით. მერე, ერთმანეთის მიყოლებით, დარბაზში ეღერს სხვადასხვა მელოდია, რომლებიც ხალხური სიბრძნის უძირო სკივრიდან არის ამოკრეფილი.

ეს იყო მორიგი კონცერტი, რომელიც ამ დღეებში რაიონის მშრომელთათვის გამართა მაიაკოვსკის კულტურის სახლის ხალხური სიმღერების სახალხო ანსამბლმა.

მარტო კულტურის სახლში როდი იწვევს მსმენელებს ანსამბლი. იგი ხშირი სტუმარია მთიანი სოფლების, მინდვრების, ზვრების, ფერმების — იმ ადგილებისა, სადაც გლეხკაცის ნამუსიანი შრომა მტკიცე საძირკველს უყრის შემოდგომის ბარაქას.

80-ზე მეტი სიმღერაა ანსამბლის რეპერტუარში.

ეს — დღეს.

სამი ათეული წლის წინათ კი... კულტურის სახლის დირექტორს ანდრო ქართველიშვილს ხალხური, ქერძოდ ძველური სიმღერების აღმდგენი და შემსწავლელი ანსამბლის შექმნის დიდი სურვილი აღეძრა. იცოდა, სრულიად ახალგაზრდა და გამოუცდელი კაცი, მარტო ვერ შეასხამდა ხორცს ამ საერო საქმეს და ჩანაფიქრი რევაზ ლაღიძესა და მიხეილ ჩირგინაშვილს გაანდო.

მხარი დაუჭირეს და ისიც ურჩიეს, კარგ წამოწყებას საიმერეთოში ყველაზე უკეთ პარმენ ბუხაიძე დაადგამს თავსო.

— მახსოვს, როგორ გაუბრწყინდა სახე აწ განსვენებულ ლოტბარს იდეის გაცნობისას, — იგონებს ანდრო ქართველიშვილი. — იქვე შეადგინა სამუშაო პროგრამა. ჩვენ სამწყსოში ხმების შეგროვება არ გაგვიჭირდებაო, თქვა, უფრო რთულია ხალხში გაბნეული სიმღერების ჩაწერა. თუ საქმის სიყვარულია ერთიც მოგვარდება და მეორეც, დანარჩენი კი ჩვენზეა დამოკიდებულიო.

შეირხა ხმები, სულ — 130 კაცი და ქალი. ანსამბლის მომავალ წევრთა ენთუზიაზმით შეგროვდა ინსტრუმენტების შესაძენი თანხაც. ჩონგურები და ფანდურები კი ცნობილ ზუგდიდელ ოსტატს კაპიტონ ცანავას დაამზადებინეს.

დადიოდა ორი ენთუზიასტი, პარმენ ბუხაიძე და აწდრო ქართველიშვილი სოფელ-სოფელ, კარდაკარ, დომში, გორაზეინდარში, ძულუბში და სხვა სოფლებში, ხვდებოდნენ მოხუცებს, რომელთა დახმარებით იწერდნენ მივიწყებულ სიმღერებს. ასე მოიძებნა, დამუშავდა და აღმოცენდა შემდგომში საქვეყნოდ გახმაურებული სიმღერები: „შარა-შარა, შუკა-შუკა“, „საიდან მოდიხარ ქალო“, „ჩიტო-გერიტო“, „ო, საქართველოვ, ტურფავ“, „სალამურო“, „ბაღდათური მგზავრული“, „ალილო“, „სადღესასწაულო“ და მრავალი სხვა, რომლებიც დღეს საქართველოს რადიოს მუსიკის უნიკალურ ფონდშია დაცული.

ხალხურ სიმღერებზე აღმოცენებული

მაიაკოვსკის სახალხო ანსამბლი 30 წლისაა

1959 წელს გაიმართა ანსამბლის დებიუტი. მსმენელებთან ერთად, რეპერტუარითა და საშემსრულებლო ოსტატობით მოიხიბლნენ ცნობილი ქართველი კომპოზიტორები რევაზ ლაღიძე, მიხეილ ჩირგინაშვილი, ბიძინა კვერნაძე და გრიგოლ კოკელაძე. მათი კარგი შეფასება მომავალ წარმატებათა საგზლად გაჰყვა ახალშექმნილ ანსამბლს.

აღიარებასაც არ დაუყოვნებია. უკვე 1962 წელს გამოვიდა ფირფიტა, რომელზეც ანსამბლის რვა სიმღერა იყო ჩაწერილი. მომდევნო წელს კი სიმღერამ „შარა-შარა, შუკა-შუკა“ საკავშირო რადიოს მიერ გამოცხადებულ კონკურსში პირველი ხარისხის პრემია დაიმსახურა.

ანსამბლის პოპულარობა გასცდა ჩვენი ქვეყნის ფარგლებს და 1985 წელს იწვევენ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. საკავშირო ფირმა „მელოდიამ“ 1986 წელს გამოუშვა ფირფიტა „შარა-შარა, შუკა-შუკა“ საკავშირო რადიოს მიერ გამოცხადებულ კონკურსში პირველი ხარისხის პრემია დაიმსახურა.

ამ დამსახურებას თავიანთი წვლილი შემატეს ვეტერანმა მომღერლებმა — შარო გოგაძემ, რუბენ ფორჩხიძემ, გივი ეგუტიძემ, თენგიზ მაღლაკელიძემ, ზაალ და იური ფურცელაძეებმა, გენო თოდაძემ, ბიჭიკო მახარაძემ, გრიგოლ ენდელაძემ, ღუღუნა ცაავამ, ვალერიან ტატურაშვილმა, ალექსანდრე გველესიანმა, ვლადიმერ ბაბუხადიამ და ვახტანგ ხოროვამ, რომელთა ოსტატობას დღეს ასე ორგანულად ეერწყმის ნიჭიერი ახალგაზრდობის ენთუზიაზმი.

ანსამბლის მესაძიებელისა და პირველი ლოტბარის, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის პარმენ ბუხაიძის მისაბაძ საქმეს განაგრძობს მისივე მოწაფე, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის კურსდამთავრებული, საგუნდო დირიჟორი სულიკო ვეფხვაძე.

ამჟამად ანსამბლი გაცხოველებით ემზადება კულტურის ახალი სახლის, დიდებული შენობის გახსნისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამოსთვის, განსაზღვრული აქვს რაიონში ტრადიციად დაამკვიდროს კომპოზიტორ რევაზ ლაღიძის დღეები.

იუბილარი ანსამბლი შესაშური შემოქმედებითი ენერგიით ემზადება მაყურებელთან ყოველი შეხვედრისათვის.

ვაჟა თევდორაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

სურათზე: მაიაკოვსკის კულტურის სახლთან არსებული მომღერელთა სახალხო ანსამბლი.

ახალგაზრდულ ასპარეზობაზე

ძიუდოისტთა 12 ქეფალი

კომპლექსურ შეჯიბრებებზე, ტრადიციულად, საქართველოს სპორტული დელეგაციის მონაგარში ყველაზე დიდი წვლილი შეაქვთ ფალავნებს, უწინარესად — ძიუდოისტებს. მართალია, საკავშირო ახალგაზრდული სპორტული ასპარეზობა ჯერ არ დამთავრებულა, მაგრამ არა გვგონია ვინმემ შეძლოს ძიუდოისტთა წარმატების გამეორება. დონეცკში, საქართველოს მოჭიდავეებმა მართლაც ჩინებულად იასპარეზეს: მოპოვებულია 5 ოქროს, 3 ვერცხლისა და 4 ბრინჯაოს მედალი. ამას გარდა, გუნდურ ჩათვლაში პირველი იყო საქართველოს ნაკრები, მეორე ადგილზე კი თბილისის გუნდი გავიდა. გამარჯვების იმედი გვქონდა, მაგრამ სინამდვილემ მოლოდინს გადააჭარბა.

მოგეხსენებათ, ახალგაზრდული ასპარეზობის ავტორიტეტი საკმაოდ მაღალია. ამ შეჯიბრების შედეგები საერთო კომპლექსურ ჩათვლაში შედის და, ცხადია, თითოეული რესპუბლიკის სპორტული დელეგაცია მაქსიმალურად მობილიზებული გამოდის. მით უფრო სასიხარულოა ქართველ ძიუდოისტთა შთამბეჭდავი გამარჯვება. ტურნირის ბოლო დღეს ტატამი უმჩატესი და ამსოლუტური წონითი კატეგორიის მოჭიდავეებს დაეთმო. სეულის ოლიმპიადის პრიზიორს, ევროპის ორგზის ჩემპიონს, მარტყოფელ ამირან ტოტიკაშვილს (60 კგ), ცხადია, ყველანი ფავორიტად თვლიდნენ. ამირანს ვერავინ გაუწია ღირსეული კონკურენცია — მან ზედიზედ ოთხი შეხვედრა მოიგო და ოქროს მედალს დაეუფლა. ამავე წონაში ბრინჯაოს ჯილდო მიიღო კახაბერ ჭურკაძედანმა, რომელმაც, მართალია, წაგებით დაიწყო შეჯიბრება, მაგრამ შემდეგ ყველა მეტოქეს აჯობა. ჩვენმა ფალავნებმა ასეთივე ხარისხის მედლები მიიღეს აბსოლუტურ კატეგორიაშიც. ჩემპიონი გახდა ვალერი პარუნაშვილი, პერსპექტიული თბილისელი სპორტსმენი, რომელსაც აქამდე თანატოლთა არაერთ შეჯიბრებაში გამოუჩენია თავი. პარუნაშვილმა ოთხიდან სამი ბრძოლა წმინდად მოიგო. მესამე ადგილზე გავიდა ჯონდო დაბრუნდაშვილი.

თითქმის ყველა წონაში სტაბილური გამოსვლის შემდეგ საქართველოს ნაკრებს გუნდური პირველ ადგილს ვერავინ შეეცილებოდა. არც ის არის შემთხვევითი, რომ გუნდური მეორე ადგილი თბილისელთა ნაკრებმა დაიკავა. ჩვენს რესპუბლიკაში ახალგაზრდა ძიუდოისტთა დაოსტატებას საგანგებო ყურადღება ეთმობა და ეს დონეცკშიც დადასტურდა.

აი, როგორ განლაგდნენ გუნდები პირველ ექვსეულში: 1. საქართველო — 230 ქულა; 2. თბილისი — 168; 3. რსფსრ — 149; 4. ყაზახეთი — 114; 5. მოსკოვი — 97; 6. აზერბაიჯანი — 83.

სასიხარულო ცნობა მოვიდა მშვილდოსანთა შეჯიბრებიდან. გოგონათა პირად პირველობაში მეორე ადგილი დაიკავა ხათუნა ქვრივიშვილმა, მესამე ადგილზე გავიდა სულიკო თოფურია. ნატო ნასარიძემ მეათე შედეგი აჩვენა. **ჩოგბურთელთა** ტურნირის ნახევარფინალში გავიდა საქართველოს ნაკრები. ჩვენმა სპორტსმენებმა მორიგ ტურში აჯობეს ბელორუსიის გუნდს — 7:5.

რედაქტორი
ნ. ჩერქეზიშვილი.

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის კოლეგიები სამძიმარს უცხადებს ყოფილ თანამშრომელს დემურ იოსელიანს ძმის
ომარ გიორგის ძე იოსელიანის
გარდაცვალების გამო.

სკოლა

შეფები ტრადიციას არ ღალატობენ

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოფიზიკის კათედრა 1983 წლიდან უშეფებს შეფობას ილია ჭავჭავაძის სახელობის ახალციხის მე-5 საშუალო სკოლას და, ვინ მოთვლის, რამდენი სასარგებლო საქმე გაეკეთებ მთ სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების, მისი კაბინეტ-ლაბორატორიების აღჭურვისათვის. შეფები კონსულტაციებს უწევენ პედაგოგიურ კოლექტივს, ეხმარებიან სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და ხერხების დაუფლებაში.

ტრადიციას არც ამჯერად უღალატეს და ამ დღეებში კვლავ ეწვივნენ სკოლას შეფები: პროფესორი ბორის ლომსაძე, დოცენტი დავით გამრეკელი, მეცნიერი-თანამშრომლები კონსტანტინე რატიანი, თამაზ შალვაყიძე, ქართლოს ჯავჯანიძე, პაატა ქობალია, მანანა წულაია, ნანა დეკანოსიძე. სამი დღის განმავლობაში ისინი პედაგოგებს უზიარებდნენ თავიანთ მოსაზრებებს სწავლების თანამედროვე ხერხების, მეთოდების, ფორმების, სწავლებაში ტექნიკური საშუალებების გამოყენებისა და დანერგვის თაობაზე. მათ სკოლას საჩუქრად გადასცეს 2000 მანეთის ღირებულების ქიმიური პრეპარატები, ჭერმარიტმები, ხწავლების ტექნიკური საშუალებები, თვალსაჩინო ტექნიკური მასალები და სხვა.

მოეწყო შეხვედრები მოსწავლეთა და მასწავლებელთა კოლექტივებთან, მშობლებთან, რომელთაც ესაუბრნენ სადღესასწაულო მოვლენებსა და ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნის პროცესებზე; შეფებმა მონაწილეობა მიიღეს პედკოლექტივისა და მოსწავლეთა კოლექტივის გაერთიანებული საერთო კრების მუშაობაში.

„კომუნისტის“ საკ. კორ.

მოვლენათა ქრონიკა

9 აპრილის ფონდში

ბიათუარა. ს. კავსაძის სახელობის სამუსიკო სკოლის 50 წლისთავს მიეძღვნა კონცერტი, რომელიც მანგანუმის ქალაქში მოეწყო. შესრულდა ქართველ, საბჭოთა და საზღვარგარეთელ კომპოზიტორთა საუკეთესო ნაწარმოებები.

კონცერტის მთელი შემოსავალი 9 აპრილს თბილისში ტრაგიკულად დაღუპულთა მემორიალის ასაგებ ფონდში გადარიცხეს.

• • •

ქუთაისი. 28-ე საშუალო სკოლის უფროსკლასელებმა მეცადინეობისაგან თავისუფალ დღეებში სალოკომოტივო დეპოში გამომუშავებული 90 მანეთი გადარიცხეს 9 აპრილის ფონდში.

ტოლს არ უდებენ სოფლელ თანატოლებს

ნორჩი თბილისელები მუშაობაში ტოლს არ უდებდნენ თავიანთ სოფლელ თანატოლებს ხობის რაიონიდან. რესპუბლიკის დედაქალაქის 180-ე საშუალო სკოლის 50 უფროსკლასელმა წარმატებით დაამთავრა შრომითი სემესტრი სუბტროპიკული კულტურების კოლმეურნეობა „კოლხეთში“. ქალაქელი ბავშვები სულაც არ ჩანდნენ ახალბედებად სოფელში, რადგან მშობლიურ სკოლაში აქვთ ნაკვეთი, სადაც მოჰყავთ ხილი და ბოსტნეული. მოკრეფილი მოსავალი სკოლის სასადილოს მენიუს ავსებს.

ახალი საჭიდაო დარბაზი

გაიხარეს ქარელელმა ჭიდაობის მოყვარულებმა. რაიონის ცენტრში ჩაბარდა საჭიდაო დარბაზი, ხოლო ადგილობრივი პირველი საშუალო სკოლის მოსწავლეებს საშუალება მიეცათ სპორტის სხვა სახეობებშიც ივარჯიშონ ამ სასწავლო დაწესებულებასთან აშენებულ ახალ სპორტულ დარბაზში.

დღეს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა უნალექოდ, დასავლეთის ქარი 5-10 მეტრი წამში, ტემპერატურა — ბარში 30-35, ზღვისპირეთში 26-31, მთაში 28-33, მაღალმთიანეთში 20-25 გრადუსი.

აღმოსავლეთ საქართველოში — უმეტესად მშრალი ამინდი, დასავლეთის ქარი 9-14 მეტრი წამში, ტემპერატურა — ბარში 31-36, მთაში 25-30, მაღალმთიანეთში 21-26 გრადუსი.

თბილისში: მშრალი ამინდი, ჩრდილო-დასავლეთის ქარი 9-14 მეტრი წამში, ტემპერატურა — 34-36 გრადუსი.

დანაშაულის კვალდაკვალ

რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროდან გვატყობინებენ

● ბარდაბნის რაიონის სამომხმარებლო კოოპერაციის № 15 სასაუზმის მებუფეტემ მუსაევ შამშერ ტანავერდი ოღლომ მომხმარებელს 109 მანეთის ნაცვლად 190 მანეთი გადაახდევინა.

ეს გამონაკლისი არ არის გარდაბნის რაიონის ტერიტორიაზე განლაგებულ რესტორნებში, სასადილოებსა და სასაუზმეებში მოკალთებული საქმრნების პრაქტიკაში, ნუთუ ამ უთოფო ყაჩაღებს ვერ ამჩნევენ სავაჭრო ორგანიზაციების ხელმძღვანელები და ისინიც, ვისაც რაიონში წესრიგის დაცვა ევალება?

● თბილისის სამკერვალო ფაბრიკა „ამირანის“ საწყობის გამგეს ბიჭიკო სერგოს ძე კონიაშვილს საწყობში აღმოაჩნდა 153.672 მანეთის დანაკლისი.

● თელავის რაიონის სოფელ ვანთაში ამავე სოფლის საშუალო სკოლის მეშვიდე კლასის მოსწავლემ მამეკა დომენტის ძე ბაგატრიშვილმა გაუფრთხილებლობით რეგისტრაციაში გაუტარებელი სანადირო თოფით მოკლა სოფელ წინანდალში მცხოვრები ცხრა წლის ხურაბ ოთარის ძე მეგუთნიშვილი.

რატომ გამორჩა მხედველობიდან არარეგისტრირებული სანადირო თოფი მილიციის უბნის ინსპექტორს? ისიც საკითხავია ვინ მისცა უმაწვილს ცეცხლსასროლი იარაღი?

● საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ავტოინსპექციის ნატარეტრის საგუშაგოზე დაიკავეს „ამაზის“ მარკის ავტომობილი, რომელსაც მართავდა აზერბაიჯანის სსრ აფშერონის რაიონის მცხოვრები ისმაილოვ ფარხადინ ვალი ოღლი. მანქანაზე აღმოჩნდა ტონაზე მეტი ზუთხი.

● გოგდანოვკის რაიონის სოფელ ტამბოვკის მცხოვრებლებმა ამავე სოფლის კოლმეურნეობის ეკონომისტმა იური გრიგორის ძე კალმეკოვმა და ქალის მთლელმა მიხეილ შაქროს ძე მანტაჯიევმა ელექტროდენის ბამოყენებით მდინარეში თევზი გაწყვიტეს. ბრაკონიერთა საქმეს რაიონის პროკურატურა იძიებს.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

პირველი პროგრამა. 13.05 — ნაშუადღევს. 13.55 — მათემატიკის ტელეკურსი. 15.50 — საინფორმაციო გამოშვება. 16.00 — მოსწავლეთა ზაფხულის არდადეგების გამო. სატელევიზიო კინოდარბაზი „ცისკარა“. მხატვრული ფილმი „ალიყური, რომელიც არ ყოფილა“. 17.25 — „ნატვრის ყვავილის ძებნაში“. ვახტანგ ონიანი (გამეორება). 18.10 — ჯადოსნური ეკრანი. 18.30 — მოსწავლეთათვის. „ჩვენ და ბუნება“. 19.15 — ქართული დოკუმენტური ფილმი „ეს შიდსია“. 19.25 — „ექო“. 20.00 — მოამბე. 20.30 — მისაღები გამოცდების წინ. 20.50 — ქართული მხატვრული ფილმი „ცისკრის ზარები“. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „მუსიკოსის გახსენება“. პეტრე ნალბანდიშვილი. 23.25 — ახალგაზრდობისა და სტუდენტთა XIII საერთაშორისო ფესტივალის დღიური.

მეორე პროგრამა. 9.35 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „დონ სეზარ დე ბაზანი“. I და II სერია. 11.50 — მხატვრული ფილმი „უკანასკნელი ორიანი“. 12.50 — მულტიპლიკაციური ფილმი. 13.05 — ნაშუადღევს. 13.55 — მათემატიკის ტელეკურსი. 14.25 — ცენტრალური ტელევიზიის გაცვლითი ფონდიდან. დოკუმენტური ფილმების პროგრამა.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ

პირველი პროგრამა. 7.30 — „120 წუთი“. 9.35 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „დონ სეზარ დე ბაზანი“. I და II სერია. 11.50 — მულტფილმი. 12.35 — კინოფიშა. 16.30 — ბავშვებს მხეცების შესახებ. 17.05 — მუსიკალური საგანძური. 18.15 — გამოფენა „მოსკოვი — პარიზი. 1900-1930 წლები“. 19.05 — ვივალდი. კონცერტი ვიოლინოსა და ორკესტრისათვის ლა მინორი. 19.15 — სატელევიზიო ნარკვევი „რუანდაში“. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — დამატება გადაცემისა „...ფექვსმეტ წლამდე და უფროსი ასაკისა“. 20.50 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „დონ სეზარ დე ბაზანი“. II სერია. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — დაბრუნება. ი. ლიუბიმოვი მოსკოვში. 23.25 — ახალგაზრდობისა და სტუდენტთა XIX საკავშირო ფესტივალის დღიური. შესვენებისას — დღეს მსოფლიოში.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „რუსეთის მონასტრები“. 9.35 და 11.25 — გერმანული ენა. 10.05 — მულტფილმი. 10.55 — ხალხური საკრავების ხმები. 12.00 — ახალი ამბები. 12.10 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ისინი ჯერ თექვსმეტისანიც არ იყვნენ“. 12.30 — ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზში გეპატიჟებათ რუსული ხალხური ანსამბლი „როსია“. 12.30 — პოეზია. ალექსი შარკოვი. 14.00 — ახალი ამბები. 14.10 — „ცისარტყელის რკალი“. 14.35 — დოკუმენტური ფილმი. 15.05 — ფილმ-კონცერტი. 15.50 — სატელევიზიო სადავეთო მხატვრული ფილმი „სამიანი“. 17.00 — გააკეთე ჩვენთან ერთად, გააკეთე ჩვენსავით, გააკეთე ჩვენზე უკეთ. 18.00 — ახალი ამბები. 18.10 — ფილმი — ბავშვებს. „გვადელუპური მარკა“. 19.15 — ეკრანზეა ციმბირი. 19.25 — ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი. 20.45 — „ძილი ნებისა, პატარებო!“. 21.00 — სსრკ უმაღლესი საბჭოს სესია. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „მიშოების ოჯახი“. 24.00 — ახალი ამბები. 0.10 — უიმბლდონის ტურნირი.

ᲤᲐᲣᲜᲐ—ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲖᲠᲣᲜᲐᲕᲘ

მუხრანში ყივის ხოხობი

უკანასკნელ წლებში ჩვენს ქვეყანაში სხვადასხვა მიზეზის გამო, ახალი მიწების ათვისება იქნება ეს, ჭაობების დაშრობა თუ ტყის ჭრა, საგრძნობლად შემცირდა გარეული ნადირ-ფრინველის უწინარესად კავკასიური ხოხბის, კაკბის, ბნოლისა და დურაჯის რაოდენობა. ამიტომ ჩვენს რესპუბლიკაში მათზე ნადირობა დიდი ხანია მთლიანად არის აკრძალული.

დღესდღეობით მრავალი ქვეყანა ხელოვნურად ამრავლებს გარეულ ნადირ-ფრინველს და კარგი შედეგიც აქვს. სსრ კავშირში ასეთი მეურნეობები შემქმნილია ყირიმში, კრასნოდარის ოლქში, უკრაინაში, ჩრდილოეთ კავკასიაში.

სსრ კავშირის შინისტრთა საბჭოს შესაბამისი დადგენილებით განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ამიერკავკასიური, ანუ კოლხური ხოხბის („ფაზიანუს კოლხიკუს“) მოშენებას, რომელიც ყველაზე უნიკალური და ერთ-ერთი საუკეთესო ჯიშია მთელს მსოფლიოში. ანალოგიური დავალება მიეცა საქართველოს მონკავშირის პრეზიდიუმს.

ამ მიზნით მცხეთის რაიონში, მუხრანის ტერიტორიაზე, მდინარე ქსნის ჭალაში გამოიყო 25 ჰექტარი. სხვადასხვა მიზეზით კარგა ხანს გაჭიანურებული მეურნეობის კომპლექსის მშენებლობა ბოლოს და ბოლოს დამთავრდა. იგი ერთ-ერთი მასშტაბური და განსაკუთრებული პროექტით აგებული ფერმაა საბჭოთა კავშირში. აქ ყოველწლიურად 50.000 კოლხური ხოხობი უნდა გამოიზარდოს. ამჟამად მეურნეობაში რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებში დაჭერილი ხოხბის სადედე გუნდს ქმნიან, აგროვებენ მის კვერცხს, იჩეკება ლაპები, ასე რომ, მუხრანში უკვე ისმის ხოხბის ყივილი.

არის იმედი, რომ ახლო მომავალში, როცა მუხრანის ექსპერიმენტული მეურნეობა მთლიანად დაკომპლექტდება, ხოხობს გაუშვებენ საქართველოს სამონადირეო სავარგულებში, სადაც ჩვენი მონადირეები ნებართვით ინადირებენ, ნანადირევის დიდ ნაწილს კი სასურსათო მაღაზიებს გადასცემენ სარეალიზაციოდ, როგორც ეს მრავალ ქვეყანაში ხდება.

მეურნეობას მცირე რაოდენობრეალიზაცია. არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ აქ ყიდიან მწყარის კვერცხსაც, რომელიც განსაკუთრებ